# დროება

ყოველდღიური სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი

№ 34 შაბათი, 13 თებერვალი 1910 წ. № 34

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЕБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ქირისუფალნი პარასკევა ლევანის ასული, ძმები ესტატე და ნადვორნი სოვეტნიკი სპირიდონ ანდრიას ძე მატარაძეები, შვილად წოდებული ბაგრატ ერასტის ძე მარგველაშვილი მეუღლით და შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მეუღლის, მეორენი—ძმის და უკანასკნელნი—ძვირფას ბიძისა, მასწავლებლის ნადვორნი სოვეტნიკის

ილარიონ ანდრიას ძის მატარაძისას.

პანაშვიდი ყოველ დღე, ნაშუადღევის 5 საათზე, საკუთარ სახლში, მიხაილოვის ქ., კლუბის შესახვევში., გამოსვენება კვირას, 14 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე გოჭოურის სასაფლაოზე. (2—კვ.—2)

მაკრინე სტეფანეს ასული, სამსონ, ვლადიმერ და სამსახ. გარეშე მყოფი ნადვორნი სოვეტნიკი სამსონ ტარიელის ძე ქაჯაიები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—მეუღლის, მეორენი—მამის და მესამე—საყვარელ ძმის სამსახურ გარეშე მყოფ პოლკოვნიკის

ქაიხოსრო ტარიელის ძის ქაჯაიასი.

გამოსვენება კვირას, 14 თებერვალს საკუთარ სახლიდან, ბალახვანის ქ., კარლ შესახვევში. (1—კვ.—1)

წარმოდგენა № 35. ქართული თეატრი წარმოდგენა № 35.

კვირას, 14 თებერვალს, 1910 წელს

ბენეფისი ტასო აბაშიძისა

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ ქ. ა. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა ბ. შირვან-ზადესი.

I. ნამუსისათვის
4 მოქმედებად თარგ. კ—ნისა.

II. გულმა იგრძნო
ვოდ. 1 მოქმედ. თარგ. მ. საფაროვ-აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ყიფიძე, შ. საფაროვი.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ა ნ ო ნ ს ი: 18 თებერვალს ბენეფისი ი. ზარდალიშვილისა. წარმოდ. იქნება „დანაშაული და სასჯელი" დოსტოევსკისა. მზადდება: „შავი ბერი", „ხალხის სიკეთე", „სიკვდილი ნაპოლეონისა", „დღენი ჩვენი ცხოვრებისა".

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი. რეჟის. თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ქართული თეატრი

„ჯეჯილის" საიუბილეო დილის წარმოდგენა

კვირას, დილით, 14 თებერვალს 1910 წ.

წარმოდგენილი იქნება: საბავშვო ერთმოქმედებიანი ვოდევილი

I „მდგმური" „ჯეჯილიდან"

II კრილოვის იგავ-არაკნი
წაიკითხავენ გრიმებსა და ტანისამოსებში.

III მუსიკალური განყოფილება

IV ცოცხალი სურათი

დასასრულ

მილოცვა

„ჯეჯილის" 20 წლის არსებობის სახსოვრად.

დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზე.

ადგილების ფასი დაკლებულია. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დილის გამგე ექ. მესხისა. რეჟისორი ნ. გოცირიძე (ნ—2)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 14 თებერვალს, 1910 წელს,

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ წარმოდგენილი იქნება

იმედის დაღუპვა

დრამა 4 მოქ. ჰეერმანსისა თარგმანი დ. მესხის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ბარათაშვილი, გოგოლაშვილი, თამარაშვილი, დგებუაძე, ქიქოძე, ციმაკურიძე, და მალამბერიძე, ბ-ნნი ანაშვილი, დ. ბაქრაძე, ინაშვილი, მეტრეველი, პეპანოვი, ხახანაშვილი, ცაბაძე, და ნარი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირას საღამოს, 21 თებერვალს. მზადდება წარმოსადგენად: ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დასჯილნი".

რეჟის. კ. შათირიშვილი. ადმინისტრატორი ლ. ვახვახიშვილი.

სახალხო უნივერსიტეტი

კვირას 14 თებერვალს ნ. ე. ერმოლოვი წაიკითხავს ლექციას.

პოლიტიკურ ეკონომიაზე

ლექციის შემდეგ გაიმართება

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გავრიშევა, სოლოდიანი, დავიდოვისა. ბ-ნი: მართანოვი, გოფმანი და ჩაროვი.

ძმები პალცევები დაუკრავენ სკრიპკაზე

დასაწყისი დილის 11 საათზე. აკომპანიმენტი მ. ფ. ზეიცი.

ბილეთების ფასი 5 კაპ. და 10 კაპ.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე როგორც კასაში ისე თედო დოლიძესთან და აგრეთვე რკინის გზის სახელოსნოში: „ზბორნი" ფესის კანტორაში ი. მამაცევთან, „ოკარნი" ცეხში ს. ჩიკვაიძესთან, „ვაგონნი" ცეხში კ. გოგუასთან, „პარავოზნის" დეპოში ნ. იასტეროვთან, ქართ. გამომც. ამხ. სტამბაში ბ. მიკირტუმოვთან, საქონლის სადგურში გ. ფილიასთან, „ტრამვაიში" აგლაძესთან, ენფიაჯიანცის ფაბრიკაში ვ. კალანდარაშვილთან, „შრომის" სტამბაში ნესტორ ცინცაძესთან.

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი

ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა, მსურველთ შეუძლიათ მიმართონ მათ საკუთარ საწყობში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (30—5)

საარტისტო საზოგადოების თეატრი

ორშაბათს, 15 თებერვალს, არტისტის ქალის ვ. გ. მელიქიანის 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქნება:

I სომხურად: პეპო
მე-2 მოქმ., გ. სუნდუკიანცისა.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნი მელიქიანი; ბ-ნნი მქ. ა. ზარგარიანცი, არუთინიანცი, მამიკონიანცი, მურზოიანი და სხ.

ეფემიას როლს შეასრულებს ქ-ნი მელიქიანი, პეპოსას—ბ-ნი ზარგარიანცი.

II ქართულად: შემოსავლიანი ადგილი
მე-4 მოქმ., ოსტროვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მელიქიანი, გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე და ბ ნი გვარამძე.

პოლინას როლს შეასრულებს ვ. გ. მელიქიანი. რეჟისორი კ. მესხი.

III იუბილიარის პატივის ცემა

IV სომხურად. „ადვოკატთან"
ვოდ. 1 მ., გადმ. ტერ-დავითიანის მიერ.

მონაწილ. მიიღებენ: ქ-ნნი მელიქიანი, ვარდუი; ბ-ნნი არუთინიანი, ალავერდიანი, აღაიანი, მამიკონიანი, მურზოიანი და სხვ.

საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ა. ზარგარიანცი, წევრები: ქ-ნნი ე. ბ. არუსტამოვისა, ვ. დ. აღამალოვისა, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა; ბ-ნნი თავ. ნ. დ. ერისთავი, თავ. ა. ზ. მაყაშვილი, ტ. დ. იოანისიანი, მ. დ. ჯაბარი, მ. ნ. ათაბეგოვი, ქრ. ტერ-სარქისოვი და ა. არუთინიანი. (2—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., ...

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაჭოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—108)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^{1}/_{2}$ ს. თვალისა,

ბ. ა. პაჭოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—270)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში

ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გმგუთის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—14

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამფორნის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—366)

ექიმი გ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ჯგად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—95)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—58

ექიმი მ. დ ბეთანოვი

ქუთაისში,

მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—16)

ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბერლოვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—24)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—99)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი ვასილ წერეთელი

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მიხა ქიქოძის სახლი. (0—უ.—115)

ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—15)

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი

ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—21)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ქუთაისში

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილები და წიგნის მაღაზია

გ. გალუსტოვისა

ამით აცხადებენ, რომ მათ შეთანხმებით მოაწყვეს ქუთაისშივე მოწაფეთა რვეულების გაკეთება, რითაც ეძლევათ საშუალება დაუკლონ ფასები. ამა წლის ივნისამდე გაიყიდება ორივე სავაჭროში მოწაფეთა რვეულები 15 გირვანქიანი ასობით 2 მანეთად. მოწაფეთა რვეულები 21 გირვანქიანი ასობით 3 მანეთად. ივნისში კი ფასებს დაუკლებენ. (ნ—5)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღამოთი $5^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^{1}/_{2}$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—1)

ქუთაისში

წიგნის მაღაზია

გ. გალუსტოვის

ამით აცხადებს, რომ მან კონკურენციის გამო დააკლო ფასები ყოველ სამოსწავლო წიგნებზე 15 იანვრიდან; უთმობს დანიშნულზედ წიგნების ფასებიდან მანეთზე 5 კაპეიკს და წიგნის ყდას ანგარიშობს არა უმეტეს 5 კაპეიკს თითო წიგნზე. (5—5)

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის ყოველ-კვირეულ სურათებიან სამხატვრო-სალიტერატურო, საზოგადოებრივ და სამეცნიერო ოსურ ჟურნალ

„ავსირ"-ზე

ხელის მოწერის პირობები:

| | 1 წლით. | $^{1}/_{2}$ წლით. | 3 თვით. |
|---|---|---|---|
| გაუგზავნელად | 5 მ. | 2 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |
| გაგზავნით | 6 მ. | 3 მან. | 1 მ. 50 კ. |

ჟურნალში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის საუკეთესო ლიტერატურული ძალები. ჟურნალის 1-ლი ნომერი გამოვა 14 თებერვალს.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია ტფილისში, მატინოვის ქ. N 5.

რედაქტორ-გამომცემელი არ. კოცოევი. (3—1)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ორი კვირის შემდეგ „ზაკავ."-მ ძლივს ამოიღო ხმა ბ-ნთ ყიფიანნაგურსკის დანაშაულობა-არ დანაშაულობაზე. ბ-ნ აბისელის პირით გაზეთი გვაუწყებს, რომ ხსენებულ ჟურნალისტებს არავითარი არა-საკადრისი საქმე არ ჩაუდენიათო. ვერ მოიქცნენ კარგად მხოლოდ იმაში, რომ მირზოევთან ხელშეკრულება დასდესო. ამ რიგად, „ზაკავ."-ს აზრით, ბ-ნნი ყიფიანი და ნაგურსკი უმწიკვლონი ყოფილან...

სამი მეოთხედი ბ-ნ აბისელის წერილისა ნოტაციას შეიცავს. ავტორი არიგებს ჟურნალისტებს, ტყუილად აყაყანდით და ასტეხეთ აურზაურიო. მეტიც: ბ-ნთ ყიფიანისა და ნაგურსკის მაგიერ მან დამნაშავის სკამზე სხვა ჟურნალისტები წამოასკუპა. ჩვენ წინადაც აღვნიშნეთ, რომ რუსულმა გაზეთებმა ამ ინციდენტის გამო ყურები გამოგვიჭედეს სისუფთავეზე და ეთიკაზე წერით. ამავე დროს ეს გაზეთები ერთმანეთს, ვინ იცის, რა ბრალდებას არა სდებენ. ბ-ნი აბისელიც ასე იქცევა: იგი ივიწყებს თავის გაზეთის თანამშრომლებს ბ-ნთ ყიფიანსა და ნაგურსკისა და სხვებს არიგებს და გაიძახის, უნდა გავწმინდოთ ჟურნალისტთა წრეო. ბ-ნი აბისელი გადაკვრით ეხება ვილაცეებს, რომელნიც „დღეს ჟურნალისტობენ, ხოლო გუშინ ქურდობისა და ფულის გაფლანგვისათვის ჩვენ ფინანსიურ დაწესებულებებიდან იქმნენ გამოგდებულნიო".

ჩვენის აზრით, „უკეთესს იზამს ბ-ნი აბისელი, თუ ნოტაციებს თავის რედაქციას და თანამშრომლებს წაუკითხავს, ხოლო ჩვენ, გარეშეებს, პირდაპირ გვეტყვის, ვინ არიან ქურდობისა და გაფლანგვისთვის გამოგდებული ჟურნალისტები. ეს, რასაკვირველია, იოტის ოდენადაც ვერ შეამსუბუქებს დანაშაულობას ბ-ნთ ყიფიანისა და ნაგურსკის, რომელნიც წინად „ტიფ ლისტოკის" თანამშრომელნი იყვნენ, ხოლო დღეს „ზაკავკ"-ს თანამშრომელნი არიან, სამაგიეროდ დაასაბუთებს ჩვენ აზრს, რომ ტფილისის დღევანდელ რუსულ პრესსაში ბევრია ისეთი ვაჟბატონი, რომელიც ტყუილად ატარებს ჟურნალისტის სახელს...

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 თებერვალი.

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს კალკუტიდან დეპეშით ატყობინებენ: ორი ტიბეტელი შიკრიკის სიტყვით აღმოსავლეთ ტიბეტში 2000 ჩინელმა სულ ერთიანად გაცარცვა ეკლესიები და დახოცა ბევრი მღვდელი. შიკრიკებს აზრად აქვთ ინდოეთის მთავრობას გადასცენ ეს ამბავი, რომ მან შესაფერი ზომები მიიღოს. იმედი აქვთ რომ ინდოეთის მთავრობა ჩინეთს მოსთხოვს ზომები მიიღოს აღელვებულ ჩინელების წინააღმდეგ.

სეჩუანიდან ტიბეტში გაემგზავრა 25000 ჩინელი ჯარის-კაცი. ჯარი ევროპიულად არის გაწვრთნილი. და თან აქვს ზარბაზნები, ტყვიის მტყორცნელები და უმავთულო ტელეგრაფი. ჯარს უფროსობს სეჩუანის ვიცე-კოროლის ძმა. ჩინელი ჯარის-კაცები ძალიან შეაწუხეს სიცივეებმა და მოსაზღვრე თემების მოქმედებამ. ბატანგის ახლო ჩინელებს თავს დაეცნენ ტიბეტელები და 400 კაცი მოუკლეს.

**ლონდონი.** „ტაიმსი" სწერს: რა თქმა უნდა დალაი-ლამას ინდოეთში კარგად დაუხვდებიან. ინგლისის ბაირაღის ქვეშ ჩამოგდებულ ბატონებს ყოველთვის მფარველობა უნახავთ. ძალიან საეჭვოა, რომ დალაი-ლამას აქტიური დახმარება აღმოუჩინონ. უკვე დაგვიანებულია იმ პოლიტიკის გადასინჯვა, რომელიც ლხასის დაჭერის დროს, ბალფურის მთავრობამ დაადასტურა. სულ ერთია კანონიერია ჩვენგან აოჩეული გზა, თუ არა, ჩვენ ერთხელ არჩეულ გზას ველარ გადაუხვევთო.

**პარიზი.** სასამართლომ გარჩია ანტიმილიტარისტ ერვეს საქმე. ერვეს ბრალდებოდა ლისეფის მოქმედების ქება. ლისეფმა პოლიცელი მოჰკლა. სასამართლომ ერვეს 4 წლით დატუსაღება და ათასი ფრანკით დაჯარიმება მიუსაჯა.

**ფოლრიკენი.** (მასაჩუზეტსი) სამბეულოსის მექარხნეებმა დაადგინეს, შეამცირონ წარმოება. ქარხნები კვირაში ხუთ დღეს იმუშავებენ ამის გამო 25,000 კაცი უმუშევრად დარჩა.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. საზღვაო ბიუჯეტის განხილვის დროს საზღვაო მინისტრმა განაცხადა. როდესაც სამინისტრო ჩავიბარე და საქმეს გავეცანი დავინახე, რომ ჩრდილოეთ ზღვის ესკადრა ისე ძლიერი არ არის, როგორც საჭიროა. 1910 წლის მაისამდე ესკადრა საჭიროდ გაძლიერებული იქნება. ჩვენ, თუნდაც რომ 1910—11 წლის ბოლომდის 6 „დანტონის" ტიპის ჯავშნიანი გემი ავაშენოთ, მაინც ჩვენი ფლოტი უნაკლულო არ იქნება, თუ ევროპის ომი მოხდაო.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო იუწყება: უკანასკნელ დროს ჩენგფუს ორ არსენალში, რომლებიც გერმანელმა ინჟინრებმა ახალი სისტემის მაშინები მოაწყეს, დღე და ღამ ტიბეტის საექსპედიციო ჯარისთვის იარაღს ამზადებდნენ. არსენალებში 7000 მუშა მუშაობს.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ ორი ახალი ვიცე-პრეზიდენტი აირჩია;

...რომანჩუკი, რუსი, და კონჩი, იტალიელი. პალატის სხდომის ბოლოს დეპუტატმა მარკოვმა პრეზიდენტის სახელზედ განცხადება შეიტანა, პროტესტს ვაცხადებ იმის გამო, ვითომ გალიციაში რუსულ ენას სდევნიდნენო. პრეზიდენტმა მარკოვს წინადადება მისცა, თუ საკითხის გამორკვევა გსურთ, შეკითხვა მინისტრ-პრეზიდენტის სახელზედ შემოიტანეთო.

**ლონდონი**. ლორდთა პალატა. მორლეიმ განაცხადა: ანდოეთის მთავრობა დალაი-ლამის შესახებ სასტიკ ნეიტრალიტეტს დაიცავს. მაგრამ რადგან დალაი-ლამა მეფის რამდენიმე მილიონ ქვეშევრდომს სასულიერო ავტორიტეტად მიაჩნია, ამიტომ მთავრობა მას განსაკუთრებულ პატივით მოეპყრობაო.

**სტამბოლი**. მთავრობა ოფიციალურად უარჰყოფს იმ ხმას, ვითომ აბდულ-ჰამიდი ავად იყოს.

სამხედრო მთავრობას მიენდოს გამოიძიოს ბოლგარიის საზღვარზედ, სტანიმაკის ახლოს, მომხდარი ინციდენტი. სტანიმაკის ახლო შეტაკება მოუვიდათ ბოლგარიის და ოსმალეთის მოსაზღვრე ჯარს, რის დროსაც დასჭრეს 1 და მოჰკლეს ოსმალეთის სამი ჯარის-კაცი. ინციდენტი მეგობრული მოლაპარაკებით გათავდება.

კომისიამ უკვე გამოიძია შირაგანის სასახლის (პარლამენტი იყო მოთავსებული) გადაწვის საქმე. როგორც შეკრებილ მასალებიდან სჩანს, სასახლის გადაწვა წინ და წინვე განზრახვით არ მომხდარა.

**ბერლინი**. გაზეთებს ათინიდან ატყობინებენ: შესდგა ახალი სამხედრო-პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც სამხედრო ლიგის წინაამდეგ იმოქმედებსო.

### რ უ ს ე თ ი

**რიგა**. ნაციონალისტების, ოქტობრისტების და მშვიდობიან განახლების პარტიის წარმომადგენლების შეერთებულმა კრებამ დ-დგინა, ხელმეორედ იშუამდგომლოს, რომ ბალტიის მხრის რუსებმა სახელმწიფო სათათბიროში განსაკუთრებული დეპუტატები იყოლიონ.

**კრონშტადტი**. სამხედრო—საზღვაო სასამართლომ დაასრულა კაპიტან ბოლტანის და მოხელე ჩეკანოვის საქმე. ბრალდებოდათ საიდუმლოდ მატროსების ტანსაცმელის გაყიდვა. სასამართლომ ჩეკანოვი გაამართლა, ხოლო კაპიტან ბოლტანს შენიშვნა მისცა.

**დონის-როსტოვი**. სადგურზედ სამგზავრო მატარებელი დაეჯახა დატვირთულ ვაგონებს. დაიმტვრა რამდენიმე ვაგონი. დაშავდა მაშინისტი და 10 მგზავრი.

კავკავის რკინის გზაზედ, როსტოვიდან 50 ვერსის მანძილზედ, მეისრის სახლში ნახეს მოიჯარადრის და 6 მუშის გვამი. ყველა ესენი უგარისაგან გარდაცვლილან.

**მოსკოვი**. დილით საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტი. სტუმრებს მიესალმა და სიტყვით მიმართა პროფესსორი კომაროვსკი. აუდიტორიაში დესტურნელ-დე-კონსტანმა სტუდენტებს სიტყვით მიმართა და მუშაობისადმი მოუწოდა. დესტურნელ-დე-კონსტანს პასუხი გასცა ერთმა სტუდენტმა, რომელმაც სთხოვა, ჩვენი გულწრფელი სალამი გადაეცით ფრანგ სტუდენტებს, პარლამენტს და საფრანგეთის ერსაო. დესტურნელ-დე-კონსტანმა სტუდენტი გადაჰკოცნა. შემდეგ დეპუტატებმა დაათვალიერეს ფრანგების ეკკლესია, საქველმოქმედო საზოგადოება და ინახულეს საფრანგეთის კონსული. ფრანგებმა თავიანთ თანამემამულეებს შესჩივლეს საქველმოქმედო საზოგადოების შენობის ასაშენებლად 200,000 მანეთი გვინდა და ვერსად გვიშოვნიაო. დეპუტატები დაჰპირდნენ ვეცდებით, რომ საფრანგეთის პარლამენტმა ეს ფული გაიღოსო. დეპუტატმა მენიემ განაცხადა, 10,000 მანეთს შემოგწირავთო. უნივერსიტეტის დათვალიერების შემდეგ სტუმრები „კავკასიის რესტორანში“ წავიდნენ, სადაც მათ საუზმე გაუმართეს. საუზმეზე დალიეს კავკასიის, რუსეთის და რუსეთის ერის სადღეგრძელოები. შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს საგუბერნიო ერობის შინაურ მრეწველობის მუზეუმი. შინა მრეწველობის დეპუტაციამ დეპუტატებს პარიზში დაზარალებულთათვის თავის წვლილი გადასცა. ერთმა დეპუტატმა გადაჰკოცნა მუშები და სთხოვა, ჩემ მაგივრად თქვენს ამხანაგებს აკოცეთო. საღამოთი ქალაქის საბჭოში გამართა საზოგადოება „მშვიდობიანობის“ სადღესასწაულო სხდომა. სტუმრებს საზოგადოების სახელით მიესალმა თავადი პავლე დოლგორუკოვი. საზოგადოებამ აღტაცებით მოისმინა ლ. ტოლსტოის დეპეშა, რომელშიაც მხცოვანი მწერალი საფრანგეთის ერს სალამს უძღვნის. სხდომის გათავების შემდეგ დეპუტატები დაესწრნენ სტუდენტების სასარგებლოდ გამართულ საღამოს. საღამოთი მათ პატივსაცემლად გაიმართა ნადიმი. ნადიმს 400 კაცი დაესწრო.

**პეტერბურგი**. უმაღლესის ბრძანებით მოსკოვსა და მოსკოვის გუბერნიაში ნება მიეცათ ცხოვრებისა პირველ გილდიის ებრაელ ვაჭრებს, რომელნიც მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიაში მინისტრთა საბჭოს 1899 წლის 22 იანვრის დადგენილებამდე დასახლდნენ.

**პეტერბურგი**. მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა მუშა ბობირიკანის თხოვნა, მისი საქმის განახლების შესახებ. ბობირიკანს სამხედრო სასამართლომ სხვა და სხვა საქმეებისთვის ექვსი წლით კატორგა მიუსაჯა. მთავარმა სამხედრო სასამართლომ დაადგინა, განაახლოს ბობირიკანის საქმე და სამხედრო სასამართლოს ხელმეორედ განსახილველად გადასცეს. ამას გარდა მთავარ სამხედრო პროკურორს შეატყობინებენ პროკურორების მოქმედებას.

**კიევი**. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების რევიზორმა აღმოაჩინა, რომ რკინის გზის უფროსი აგენტები უკანონოდ იქცევიან, რამაც ხაზინას საგრძნობელი ზარალი მიაყენაო.

**იაროსლავლი**. მოსკოვის სამოსამართლო პალატამ განიხილა კოლოგრივის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ლევაშოვის საქმე. ბრალდებოდა უფლების გადაჭარბება და სოფლის სამართველოების საშუალებით გლეხებში არა-ლეგალურ ლიტერატურის გავრცელება. სასამართლომ უფლების გადაჭარბებისთვის ლევაშოვს თანამდებობის ჩამორთმევა გადაუწყვიტა, ხოლო მეორე ბრალდებაში გაამართლა.

**„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „ვინ არის დამნაშავე“? მოთხრობა ვ. დუნდუასი. სურათები: „უპატრონო“, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, არტისტი—ქალი მელიქიანი, მასწ. ჩოგოვაძე და „წყალ-დიდობა პარიზში“ (ორი სურათი).**

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **წ.-კ. საზოგადოებ.** 11 თებერვალს, გ. ნ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით, მოხდა წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობის სხდომა. სხვათა შორის, გამგეობამ განიხილა მოხსენება სასკოლო სექციისა ზაფხულობით მასწავლებელთათვის კურსების მოწყობის შესახებ. როგორც ვიცით, გამგეობამ ჯერ ისევ შარშან დაადგინა კურსების მოწყობა. გამგეობამ ეხლა მცირე ცვლილებით დაამტკიცა პროგრამა კურსებისა და დაადგინა, შეუდგეს ზრუნვას მომავალ ზაფხულს კურსების გასამართავად. გამგეობამ დაადგინა აგრეთვე, მონაწილეობა მიიღოს პეტერბურგის განათლების ლიგაში სასწავლო და სახელმძღვანელო ნივთების გამოფენით. დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდო სასკოლო კომისიას. სოფელ ლიხაურის მცხოვრებთა თხოვნის თანახმად, გამგეობამ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას ლიხაურაში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ.

✦ **საკვირაო სკოლის აღკრძალვა.** ამას წინად წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ შუამდგომლობა აღსძრა ტფ. გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციის წინაშე, რომ მთავარ გამგეობას ნება მისცემოდა გარეთ-კახეთის სოფელ გიორგი წმინდაში საკვირაო სკოლის დაარსებისა. გამგეობამ პასუხი უკვე მიიღო. დირექტორმა შეუძლებლად სცნო საკვირაო სკოლის გამართვა გიორგი წმინდაში.

✦ **პროვიზორის საქმე.** ორშაბათს, 15 თებერვალს, ტფ. საგანგებო საქმეთა მომრიგებელ მოსამართლესთან განსახილველად დანიშნულია საქმე ქალაქის სამკურნალოს აფთიაქის პროვიზორ ჯაჭვაძისა, რომელსაც ფორმაცევტი ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებისა სულაბერიძე უჩივის, ცილი დამწამა და ქურდობა დამაბრალაო. მოწმეებად დაბარებულნი არიან გამგეობის წევრნი, ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი, ექიმები თათევოსიანცი, იგიტიანცი და სხვანი. გაზეთებში უკვე აღნიშნული ამ საქმის ვითარება.

✦ **პანაშვიდი.** გუშინ, 12 თებერვალს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში, ტფ. ქალაქის გამგეობის ინციატორობით, გადახდილ იქმნა პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილ ნიჭიერ მსახიობ-ქალის ქ-ნ კამისარჟევსკაიას სულის მოსახსენებლად, პანაშვიდს დაესწრნენ მრავალნი.

✦ **ინსპექტორი სკოლებისთვის.** წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ 11 თებერვალს განიხილა ალ. ზ. მდივნის მოხსენება წ.-კ. საზოგადოების სკოლებისთვის ინსპექტორის დანიშვნის შესახებ. გამგეობამ პრინციპიალურად საჭიროდ სცნო ინსპექტორის დანიშვნა. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს მდივანს დაამზადოს ამ საგნის შესახებ დასაბუთებული მოხსენება საზოგადო კრებისთვის წარსადგენად.

✦ **სტიპენდიები.** ტფ. ქალაქის სასკოლო კომისიამ 10 თებერვლის სხდომაზე მრავალი თხოვნა განიხილა შამხაროვის სახელობის სტიპენდიის მისაღებად. კომისიამ სტიპენდიები დაუნიშნა რეალურს სასწავლებელში სამს: ანიშკოვს, კუკუჯანოვსა და აღნიაშვილს; ქალთა მე-5 გიმნაზიაში სამს: ტერ-გუკასოვს, მირზოიანცს და ფთაძეს. და საკომერციო სასწავლებელში ხუთს: არაქელიანცს, ტერ-ისრაელიანცს, ჯუგანიანცს, ანტონიანცს და სარქის ტერ-ისრაელიანცს.

✦ **კრება.** ორშაბათს, 17 თებერვალს, კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. კრება განიხილავს ხარჯთაღრიცხვას და სხვა-მიმდინარე საქმეებს.

✦ **ექსკურსია.** ტფილისის სამხატვრო სკოლის მოწაფენი დირექტორის ხელმძღვანელობით 26 და 27 თებერვალს ბათუმში მიდიან საექსკურსიოდ.

✦ **ბატაილის პასუხი.** როგორც ვიცით, ქალაქის გამგეობამ ბატაილს მოსთხოვა ის ხელ-შეკრულება, რომელიც მირზოევმა დასდო უსახელო საზოგადოებასთან. ბატაილს შეუთვლია, ხელ-შეკრულება ბრიუსელში გავგზავნეო.

✦ **რკინის გზა ტფილისიდან კავკავამდე.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: რკინის გზათა დეპარტამენტის შეკითხვაზე, კავკავის რკინის გზის გამგეობამ თანხმობა განაცხადა, გაიყვანოს რკინის გზა ტფილისიდან კავკავამდე.

✦ **სამეურნეო იარაღის საწყობი.** მიწადმოქმედებისა და საზაზინო ქონებათა გამგემ შუამდგომლობა აღძრეს მიწადმოქმედების სამინისტროს რწმუნებულის წინაშე, დაარსდეს ერევანსა და ყარსში სახაზინო საწყობი სამეურნეო იარაღებისა, რათა მცხოვრებთ საშუალება მიეცეთ ხელმისაწვდენ ფასებში შეიძინონ საჭირო იარაღი. კერძო საწყობებში მეტად ძვირად იყიდება იარაღი. კარგი იქნება, ასეთი საწყობი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაშიაც დაარსდეს.

✦ **რკინის გზა კოჯრამდის.** ფინიკულერის საზოგადოების გამგეობას შუამდგომლობა აღუძრავს ნამესტნიკის წინაშე, ნება მიეცეს მამადავითიდამ კოჯრამდე ელექტრონას რკინის გზა გაიყვანოს. გეგმას და დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ წარუდგენენ, ეხლა უნდა პრინციპიალურად გადაწყდეს საკითხი.

# მთამ სრულიად სხვა სთქვა

(პასუხად ბაჩანას*)

მთამ ეგ არა სთქვა, ბაჩანავ,
როგორაც შენა გგონია.
მისი ნათქვამი, ნაგრძნობი
მე სულ სხვა გამიგონია.
გაცვრცილმა, ნაცემ-ნაგვემმა,
აღშფოთებულმა ფრიადა,
ისევ თავს უთხრა: „დამშვიდდი,
გულო, რამ აგაზვიადა?!
მომთმენი, აუჩქარები,
ამწონ-დამწონი საქმისა
კი არ გამხადო მსხვერპლადა
შენ შემთხვევითის წამისა?
სურვილი მალეობისა
მოსაწონია თავისა?!
ერთი წელი და ათასი
ბარდაბარია ჟამისა.
მაშ ჩვენი ტანჯვაც ჩავთვალოთ
სიბნელედ ერთის ღამისა,
გვიან აყვავდეს, იგი სჯობ
ხილ-ხული ჩემსა არესა.
მინამდე ადრე და დაზრეს
დღეს იგემებდეს მწარესა,
ცარიელს ტოტებს უშვერდეს
ცაზე გადმოსულს მთვარესა.
არ მომწონს ფაცი-ფუცობა,
სულსწრაფთ, უმეცართ ხელობა:
თუ სამერმისოს კარგს ვხედავ
დღევანდლის დღისა მწველობა
სურდოდ მაჩნია,—ჰლექისა
იმას არა აქვს ნიშანი,—
ოღონდ გვექდიოს გულში ღრმად
ყველას მომავლის მიზანი,—
მოვრწყოთ ნაღვაწით, ოფლითა
ჩვენის სამშობლოს მიწანი!..
აჰღელვებულხარ ძალიან,
თავის ძმა ველარ გიცანი.
რომ მომავალი ჩვენია
ამას რად უნდა მისანი!?.

**ვაჟა-ფშაველა.**

*) იხ. „მრი“, N 1, 1910 წ. ლექსი „მთამ მთქვა“.

# ოსმალელი ქართველები

**ძვირფასო მეგობარო!**

სრულებით ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩემი წერილი საგაზეთოდ გახდებოდა, მაგრამ რაკი დაბეჭდე, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და შემდეგ ამბებს უფრო ვრცლად და დალაგებით აგიწერ. შენ თითონ ჩქარა შეიტყობ, რომ ეს ამბები წინანდლებივით შემთხვევითნი აღარ არიან და ჩვენში უკვე დაწყებულ მისვლა-მოსვლას ეხება. ამბები იწყება იმ დღიდან, რა დღესაც უკანასკნელი წერილი გამოგიგზავნე.

პარასკევი დღე იყო. მითხრეს, ვიღაცები გკითხულობენ, დაბლა გიცდიანო. ვიფიქრე, ვინ უნდა იყოს აქ ჩემი მომკითხავი ეზოში მომლოდინე მეთქი. ჩაველ ეზოში და სამი ახალგაზდა ვაჟი დამხვდა, თათრულ ფორმის ტანისამოსში გამოწყობილი, წითელფესიანი. დანახვაზე შემომღიმეს და ამიტომ მათის ვინაობის გამოცნობას ბევრი ფიქრი აღარ უნდოდა, მიველ და ქართულად მივეცი სალამი.

— გაგიმარჯოს! — ქართულადვე მომიგო ერთმა ყველას მაგიერ. ჩამოვართვი სამივეს ხელი და შევიწვიე სახლში:

— მობძანდით, იქნება გავაგონოთ როგორმე ერთმანეთს,—უთხარი მე.

— როგორ არა, მე ქართველი ვარ, ქართული ვიცი—მომიგო მანვე და შემომყვნენ სახლში.

დავსხედით და, ალბად, გულმა გული იცნო, ისეთი ქცევით დავიწყეთ ლაპარაკი, გეგონებოდა, ესენი დიდი ხნის ნაცნობები არიან, ბევრჯელ ჰქონიათ ერთმანეთში საუბარი თავიანთ ჭირვარამზე და ეხლაც ამ საგანზე შეყრილანო. იმათში ორი კარგად ლაპარაკობდა ქართულს და საოჯახო ენად ქართული ჰქონიათ, ხოლო მესამემ კი სულ აღარ იცოდა, მაგრამ სიყვარულით გამომზირალი მისი თვალები ენაზე მეტს ამბობდნენ. ამან ქართული არ იცის, მაგრამ ჩვენთან ყოფნა უნდაო, ასე ამიხსნეს მისი მოყვანა. დიდის ხნით დაკარგულთ ამ პოვნის შემდეგ სხვა რამ კერძო საუბარი არ გვეთანხმებოდა და ლაპარაკი მალე გადავიდა ჩვენს წარსულს ბედზე და აწმყო მდგომარეობაზე.

— მე სხვას აღარ ვეძებ, ჩემი სიცოცხლეც აღარ მინდა უმისოთა, ქართული ან-ბანი უნდა ვისწავლო, მერე ვიარო და ვასწავლო სხვა ჩვენებსაც. ყველამ ჩვენ მოგვჭყიპა (გაგვჭყლიტაო), ყველაფერი აგვართვეს. განა ჩვენ კი ხალხი არა ვართ, სხვა რათ უნდა გვჭყიპავდეს, ჩვენი ენა რად უნდა დაიკარგოს. ჩვენებს არ ესმიან და ერთად არ არიან. კითხვა რო ეცოდინებათ, წიგნს წაიკითხავენ, აგი ქვა გაუნათლდებათ და მიხვდებიან, მაშინ ველარ მოგვჭყიპავენ—ასე ამიქადაგდა იუნუს ბაჰრი და პირველი მე გამაოცა მისმა ამბავმა.

ბევრი ამაზე მეტი სხვა მიუბნა და გულში გახარებულს მიკვირდა, საიდან, როგორ, ნუ თუ მართლა ასეა! მალე შევიტყე მიზეზი და საქმე. ერთი ახლად მოსული ძლიერ დაუახლოვდა აქაურ ქართველ ხოჯებს, ქართული წიგნები და რამდენიმე კურანი ხოჯებს ამან დაურიგა და სიტყვიერი ჩაგონება სხვა იყო. ამ ამბავს დასწრებია იუნუს ბაჰრიც, ქართული გაზეთი მოესმინა და „დედა-ენა“ ეშოვნა. მერე სახლში ნახვა მოენდომა ახლად გაცნობილისა და იმის ძებნაში მე მიპოვა. მეორეც იმისგვარივე და იქიდანვე მოსული იყო. ეს იყო პირველი ნახვა ქრისტიან ქართველთა, პირველი გაგონება იმათ სამშობლო ქვეყნისა. თითონ იუნუს ბაჰრიც ხომ იქიდამ არის და ოდესმე იქ იყო, მაგრამ არ იცოდა და ეხლა გაიგო, ეხლა აღმოჩნდა და ამ ახალ აღმოჩენით იყო ასე ფიცხათ ანთებული თვრამეტ-ცხრამეტი წლის ბიჭი.

— აქამდე არ ვიცოდი, თუ ბათუმს იქით ჩვენი ქვეყანა იყო და ბეჭდური ანი-ბანით ქართული გაზეტაი გამოდიოდა, ან თუ ქრისტიანი ქართველები იქნებოდნენ, არც ის ვიცოდი. მე მეგონა რაც მუჰამმადიანები ვართ, ქართველები მარტო ესენი ვართო.

აი, ამ სიტყვებით გამომიმჟღავნა იუნუს ბაჰრმა, თუ რის სიხარული ტრიალებდა იმის გულში და რა იყო ძვირფასი ამ ახალ აღმოჩენაში: ყოფილა კიდევ საქართველო და არა უბრალო, არამედ ბეჭდური ან-ბანით და ეს ხუმრობა საქმე ხომ არ არის, რაღაც დიდი ნიშანია, დასწერ, წაიკითხავ შენს ენაზედ შენს გულნადებსა. მართალია, ქრისტიანები არიან, მაგრამ რჯული თავისთვის იყოს, **მუსულმანებიც ხომ ყველანი სუნნიტები არ არიან** (ნამდვილი სიტყვები იუნუს ბაჰრისა), **სისხლი გვაქვს ერთი, ერთის გვარისანი ვართ** (მისივე) და ძმა ხომ ძმას არ უღალატებს, მოვა და მასთან დადგება ჭირში და ლხინში; იგი აქამდე იყო ობოლი, ობლობით ყველასაგან დაბრიყვებული, თორემ ეხლა ის მარტოკა აღარ არის, ვეღარავინ **მოსჭყიპავს**,—აი, შინაგანი არსება და იმედი იუნუს ბაჰრის განახლებულ გულისა. მთელი მისი ლაპარაკი ეს იყო: მეტათ გავიბგინით, მაგრამ თუ შევეერთდით, ცოტანი კი არ ვყოფილვართ, ძალა მოგვეცემაო.

არ გეგონოს, მეგობარო, რომ აქ მარტო ტკბილი ნატვრა იყოს და ამაზე ჩერდებოდეს იუნუს ბაჰრის ლტოლვილება. არა, იგი გზასაც ეძებს. შეერთების მთავარ საშუალებად იგი სთვლის წერა-კითხვასა და მის გავრცელებას ხალხში, გარეშე სხვა ყოველ მიმატებისა ჯერ-ჯერობით: ჩვენ წერა-კითხვა ვასწავლოთ ხალხს და მერე თითონ მიხვდებიანო. გავრცელება წერა-კითხვისა ძლიერ საადვილოდ მიაჩნია. ჩვენი ანი-ბანი თათრულივით ძნელი არ არის, ადვილი დასასწავლია, ქართულს ხომ ლაპარაკობენ, ჩვენი ენაა და რაც არ ეცოდინებათ, ისიც მალე მოაგონდებათო, ასე დამისაბუთა მან თვისი იმედი.

თავის კერძოთ რომ ძლიერ იყო მონდომებული ქართულ სწავლებას, ამისი მიზეზი მაშინ შევიტყე, როცა თავის ცხოვრებიდან მიამბო ერთი გულსაკლავი, ტანჯვით სავსე მაგალითი ერის საერთო დაცემისა:

— დედამ წერილი გამომიგზავნა,—დაიწყო მან.—ქართულად დაწერილი; მე კითხვა არ ვიცი, ვეძებ, ვერც სხვა ვიპოვნე წამკითხავი და ერთი წელიწადი ისე დამქონდა უბეში.

— მაშ მთელი ერთი წელიწადი ისე ატარე, რომ არ იცოდი, რა ეწერა დედის მოწერილში, დედა რასა გწერდა?

— არ ვიცოდიო,—სთქვა დაღონებით და თან როგორღაც დარცხვინდა.

აბა გაზომე ეს პატარა ფაქტი სიგძე-სიგანეზე წინამავალ ამბებიდან დაწყებული ზედ მოყოლებულ შედეგამდე, თუ მთელი ქვეყნის მწუხარება შიგ არ ჩაეტიოს. მართლა და ამაზე მეტი რაღა იქნება: დედამ თვისი მოსიყვარულე დატანჯული გული გადაუშალოს თავის შვილს, თავის იმედსა და სასოებას, შვილმა ველარ ამოიკითხოს დედის გულის ამბავი და საპასუხოდ ველარა სცეს ნუგეში; დედა იწოდეს შვილის დაუმუნჯებაზე, შვილი იტანჯებოდეს ზმანებაში შეკრულ ივით თავის ულონობითა და ასე შეილახოს, გაუგემურდეს ბუნების დიადი კანონი—ტკბილი დედაშვილობა. რა მიიღონ მათ და რა მიიღოს ადამიანმა ამის ფასი?

რისგან იყო იმ დარცხვენის იერი, იუნუს ბაჰრის რომ გადაუარა პირისახეზე! არა მგონია, თუ იმისაგან იყო, რომ დედა ახსენა და მუსულმანობაში არ მიღებული საქციელი ჩაიდინა. ამაში მაინცა და მაინც დიდი მორიდება არ გამოიჩინა და ერთი საათის შემდეგ თამამად მელაპარაკებოდა ოჯახის ყველა წევრებზე. მაშასადამე, ეს იყო დარცხვენა ნამდვილ დასარცხვენ საქმეზე, ეს იყო დარცხვენა და დაკნავება—დამცირებაში მყოფ ადამიანისა. ვინა ვარ და რა მქვიან, ვისი ყმა ვარ, რის პატრონი, ამას მუდამ იკითხავს თვალხილული კაცი.

გადმოუღაგე ჩემ სტუმრებს გასასინჯავად ქართული წიგნები და გაზეთები. ძლიერ მოეწონათ ლამაზ ყდით შეკონილი პატარა „ვეფხის ტყაოსანი“. „ეს არის ჩვენი ბეჭდური წიგნი, რა ლამაზია“! ბეჭდურის დანახვაზე სიხარულს აჩენენ. ქართული წერა რომ არის, ეს ამათაც იციან, მაგრამ თუ ბეჭდურიც იქნებოდა, ეს კი არ გაუგონიათ. ნაკლულევანებაში მყოფს რომ სხვისი დოვლათზე თვისი უბედურება მოაგონდება და გული დაეჩაგრება, სწორედ ამნაირ მდგომარეობაში ვნახე საბრალო შვილები ღელვაგვემულ ერისა. ამათ ჰგონებიათ, რომ ბეჭვდა მარტო სხვებსა აქვთ და ქართული კი უშნო ხელურად

✦ **წარმოდგენის გადადება.** ხუთშაბათს, ქართულ თეატრში წარმოდგენა აღარ გაიმართა. წარმოდგენა გადაიდო ვ. კომისარჟევსკაიას გარდაცვალების გამო.

✦ **სკოლა გომარეთში.** როგორც სოფ. გომარეთიდან გვატყობინებენ, ადგილობრივ მამასახლისთვის მიუმართავს სახალხო სკოლების დირექტორს, ყრილობაზე შეეკითხოს ხალხს, თანახმა იქნებიან თუ არა გომრეთში დაარსდეს სამინისტრო ორკლასიანი სასწავლებელი.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობის სააღმშენებლო განყოფილებამ დაავალა ქალაქის იურისკონსულებს, საჩივარი აღძრას დუშეთის ქუჩაზე მცხოვრებ ვ. ჭილოვის წინააღმდეგ, რომელსაც ქალაქის მიწა მიუსაკუთრებია.

✦ 11 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ, პოლიციამ ანდრეევის ქუჩაზე დააპატიმრა რკინის გზის მთავარ სახელოსნოების ზეინკალი ფრანც ანდ. კონსიოროვსკი, რომელსაც სახელოსნოებიდან მოეპარა დინამო მანქანის ბარაბანი და ტომრით მიჰქონდა. ამავე დღეს დააპატიმრეს ტფ. მოქალაქე გიორგი თავ. ვარძელაშვილი, რომელსაც ალექსანდროვის ქუჩაზე მცხოვრების გრიქორ კირაკოსიანცის სახლიდან სხვა და სხვა ნივთები მოეპარა. ქურდობისთვის დააპატიმრეს 13 წლის მიხეილ კრუპინი და ნიკოლოზ მჭედლოვი. 10 თებერვალს ჩხრეკის დროს პოლიციის მე-4 ნაწილში დააპატიმრეს 11, მე-6 ნაწილში-16, მე-12 ნაწილში-5 უპასპორტო კაცი.

# მოწერილი ამბები

**ს. გიორგიწმინდა (ივრის ხეობა).** სწორედ ერთი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლა დაარსდა სოფელ გიორგიწმინდაში. ამ სკოლას უკვე გაუჩნდნენ მტრები, რომელთაც სულითა და გულით სწადიათ დირექციას გადასცენ იგი. ესენი გაიძახიან: „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლის პროგრამმა არ განსხვავდება სამინისტრო სკოლების პროგრამისაგან, სამშობლო ენის სწავლება ორივე სკოლაში თანაბრად მიმდინარეობს, ამიტომ ეს სკოლა დირექციას უნდა გადაეცესო“.

ამ სკოლის ვითარება ასეთია: 1909 წლის იანვრის პირველში აქ დაარსდა სკოლა 300 კომლმა გლეხმა. სკოლა დაუქვემდებარეს ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, დაადგინეს ასეთი განაჩენი: მასწავლებელს ვაძლიოთ წლიურად 400 მან. ბინა და შეშა. გიორგიწმინდელები სკოლის მასწავლებელს დღემდის წესიერად აძლევდნენ ჯამაგირს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალშიაც მხნედ მოეკიდებიან ამ ქართულ სკოლას, გაუწევენ მზრუნველობას და არ აჰყვებიან ეროვნულ საქმის მოძულეთა ლაპარაკს.

4 იანვარს გიორგიწმინდის ნაცვალს მოუვიდა ტფ. გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორისაგან მოწერილობა. იგი ავალებდა, შეეკრიბა საზოგადოება და მიეცა შემდეგი წინადადება: „დირექცია თანახმაა სახელმწიფო ჯამაგირიანი მასწავლებელი გამოგიგზავნოთ, ოღონდ თქვენ მარტო შენობა დაუთმეთ სკოლას, მასწავლებელს მიეცით მოსამსახურე და შეშა. თანახმად ინსპექტორის მოწერილობისა, ადგილობრივმა ნაცვალმა შეჰკრიბა 24 იანვარს გიორგი წმინდის გლეხ-კაცობა და გამოუცხადა ინსპექტორის მოწერილობა. გამართეს თათბირი. ზოგი გლეხი ამბობდა; „ჩვენ უკვე სკოლა გვაქვს, რომელიც ეკუთვნის ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას; სამინისტრო სკოლა ჩვენში არსებობდა, მაგრამ მან არაფერი შეგვძინა; ჩვენთვის ისეთი სკოლაა საჭირო, სადაც ქართული ენის სწავლებას ჯეროვანი ყურადღება ექნება მიქცეული და კიდევაც გვაქვს ასეთი სკოლაო ზოგიც; რასაკვირველია, ამბობდა: „სამინისტრო სკოლა გავხსნათ, რადგან დირექცია გვპირდება სახელმწიფო ჯამაგირიან მასწავლებელსო. სხვათა-შორის გლეხთა ყრილობაზე წამოდგა ადგილობრივი მწერალი და მიმართა გლეხებს შემდეგის სიტყვებით. „სახალხო განათლების სამინისტრომ ხალხის განათლებაზე მილიონობით გადასდო ფული. ამ მილიონებიდან ჩვენც გვაძლევენ 400 მანეთს მასწავლებლისთვის.' თუ ჩვენ ამ სკოლას დაუქვემდებარებთ დირექციას მაშინ მოგვცემენ სახელმწიფო ჯამაგირიანს მასწავლებელს, თუ არა და არა. იცოდეთ, რომ საგარეჯოს სკოლის ოთხ მასწავლებელს ხაზინა ინახავს, თქვენ კი მასწავლებელს 400 მანეთს აძლევთო“.

ყრილობაზე საზოგადოებამ აირჩია 40 კაცი და იმათ დაავალა, განეხილათ და გადაეწყვიტათ ეს საკითხი. ორმოცმა კაცმა ცალკე იქონია მსჯელობა და გადაწყვიტა შემდეგი: „ჩვენ უკვე გქონდა სამინისტრო სკოლა, მაგრამ მან არაფერი შესძინა ჩვენ შვილებს. სამშობლო ენის სწავლება სამინისტრო სკოლაში აბუჩად იყო აგდებული; ჩვენ გვინდა ეს სკოლა დარჩეს ისევ ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის ხელში, დღე, ისევ ჩვენ ვიკისრებთ მასწავლებლის ჯამაგირს, ოღონდ ჩვენმა შვილებმა სამშობლო ენაზე მიიღონ სწავლა და სხვა...

შემდეგ ეს დადგენილება ყრილობას გამოეცხადა. ყრილობამ ერთხმად მიიღო იგი.

საგარეჯოს ორკლასიან სამინისტრო სკოლის მასწავლებლებს მოუვიდათ სახალხო სკოლების ინსპექტორისაგან შემდეგი მოწერილობა: „1910 წლიდან პირველს განყოფილებაში 12 გაკვეთილი მიეცით რუსული ენისო“. დღემდის პირველ განყოფილებაში ექვს გაკვეთილს აძლევდნენ, ესე იგი დღეში თითო გაკვეთილს. ეხლა მასწავლებელნი საგონებელში არიან ჩავარდნილი რადგან რუსული ენის ამდენ გაკვეთილის მიცემა 7-8 წლის ქართველ ბავშვებისთვის პირველ განყოფილებაში წარმოუდგენელია. ჯერ ბავშვებს „დედა-ენის“ პირველი ნაწილი არ გაუთავებიათ და უმალ რუსულ ენას აწყებინებენ და თან ეუბნებიან მასწავლებლებს თორმეტი გაკვეთილი მიეცით კვირაშიო, ესე იგი ორი გაკვეთილი რუსულ ენისა დღეში, ქართული ენისა კი ერთი.

**მარიამწყაროელი.**

**ბორჯომი.** ბორჯომს ამ ბოლო დროს გამოცოცხლება დაეტყო. დრო გამოშვებით იმართება წარმოდგენები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. წინად ბორჯომში ზამთრობით არავითარი გასართობი არ იყო. გათავდებოდა თუ არა ზაფხული, ყველა მიეცემოდა ზამთრის ძილს და მოუთმენლად ელოდა გაზაფხულს. აქაური ინტელიგენციაც ემორჩილებოდა ამ პროვინციალურ ერთფეროვნებას და ჭორიკანობის იქით ვერ წასულიყო. ეს მეორე წელიწადია, რაც აქ არსებობს კლუბი, მაგრამ მანაც ვერაფერი მისცა თავის წევრებს. ბანქოს თამაშის მეტი თითქმის არაფერია. სასურველი იქნებოდა, რომ კლუბის გამგეობა, ბანქოსა და ღვინის გარდა, ეცდებოდეს გონებრივ საზრდოც მიაწოდოს თავის წევრებს მაინც. პატარა ქალაქებსა და დაბებში კლუბს, ბანქოსა და ღვინის გარდა, სხვა დანიშნულებაც უნდა ჰქონდეს.

დიდი მთავრის მამულს აქ ბევრი მოსამსახურე ჰყავს, მათში რამდენიმე ქართველიც იყო. ამ დღეებში გამგემ გამოაცხადა, შტატს ვამოკლებთო. ამის გამო ბევრი უადგილოდ დარჩა.

24 იანვარს ვლ. ყიფიანის მოწვევით გაიმართა ქ.-შ. წ.-კ. გ. საზოგადოების წევრთა კრება, რომელმაც ერთხმად დაადგინა, გახსნას ბორჯომში საზოგადოების განყოფილება, აგრეთვე სკოლა და ბიბლიოთეკა. წევრად ჩაეწერა 45 კაცი.

**გ. ვა—ძე.**

**ფოთი.** ამას წინად ქალაქის თვითმმართველობის შენობაში მღ. მელიტონ კელენჯერიძემ წაიკითხა ლექცია გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ. ხალხი დიდძალი დაესწრო. ლექციამ ჩინებულად ჩაიარა. ლექტორი დაჯილდოვებულ იქმნა ხანგრძლივის ტაშის ცემით და მადლობით. ლექტორმა ბევრი საგულისხმიერო ამბავი მოგვითხრო. შენობის სივიწროვე ნებას არ აძლევდა ხალხს დატეულიყო თავისუფლად, მაგრამ ეს არავის უგრძვნია, ბევრი ფეხზედაც იდგა და შთანთქმული იყო ლექციის სმენაში. რაც გვეგონა გაგონით, გაბრიელი ათი იმოდენა გაიზარდა საზოგადოების თვალში. ძალიან კარგს ინებებდა მამა მელიტონ კელენჯერიძე, რომ სხვა ქალაქებშიაც წაიკითხავდეს თავის საყურადღებო ლექციას და ყველას გააცნობდეს ამ ადამიანის სიდიადეს და უკვდავებას. ლექტორს დიდ-ძალი მასალა მოუკრებია გაბრიელზე. როგორც გავიგეთ, იგი ათ წელზე მეტია თურმე, რაც მუშაობს ამაზე და დაუმზადებია კიდეც ვეებერთელა გამოკვლევა გაბრიელის შესახებ.

**მაყურებელთაგანი.**

## წერილი ჟენევიდან

ბიბლიოთეკის ლიკვიდაცია.—ნატალია გაბუნია-ცაგარლის იუბილეი.—ქართველების გამოფხიზლება.—ქართული საღამო.

ქართულ „კოლონი“-ის უმრავლესობის გულგრილობამ ბიბლიოთეკის ლიკვიდაცია აუცილებელი გაჰხდა. ბიბლიოთეკის ლიკვიდაციისთვის ფული მიიღო ბ-ნმა სერაპიონ დადუნაშვილმა, რომელმაც დარჩენილი წიგნები წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას გაუგზავნა ტფილისში. როგორც გავიგე, ბევრი წიგნი აკლია, რომლებიც აქ, ჟენევაში, სხვა და სხვა ორგანიზაციის კერძო პირის კუთვნილებად გადაქცეულა. ქართველობამ ყველა ეს იცის, მაგრამ დღემდის თავს არავინ იწუხებს დაკარგულ წიგნების მოსაძებნად. აი, მაგალითიც. ბ-ნმა ხოტიმსკიმ (თამბაქოს ფაბრიკა აქვს) სთქვა, რომ მას ჩაუვარდა ხელში რამდენიმე ძვირფასი წიგნი ქართულ ბიბლიოთეკისა. ამ წიგნების წაღება ქართველებსა სთხოვა, მაგრამ ქართველებმა, მისი სიტყვით, უარი განაცხადეს: ჩვენ არც ბიბლოთეკა გვაქვს, არც არავითარი ორგანიზაცია და წიგნები რად გვინდაო... ჩემის აზრით, ბ. ხოტიმსკი მართალს არ ამბობს, არც ერთი ქართველთაგანი წიგნების წაღებაზე უარს არ იტყოდა, იმას რომ წიგნები უფულოდ დაეთმო. როგორც ლაპარაკში შევნიშნე, ხოტიმსკის წიგნები გირაოდ უნდა ჰქონდეს მიღებული ერთ ქართველისაგან, რომლის შესახებაც ამბობს ბევრი ფული შემიჭამა და ზოგიერთი იმის წიგნი ჩემთან დარჩაო... დაკარგულ წიგნების რაოდენობის გაგება ადვილია, რადგან წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს კატალოგი ჟენევის ბიბლიოთეკისა, თუმცა იმ კატალოგის შედგენის შემდეგ ჩვენს ბიბლიოთეკას ბევრი ახალი წიგნი მიემატა.

ბიბლიოთეკის ლიკვიდაციას ქართველების გაფანტვა და კარჩაკეტილობა მოჰყვა. ასე რომ ახლად ჩამოსულ ქართველებს უცხოელები უწევდნენ დახმარებას. ასე დაუსაქმულნი ვიყავით, როდესაც დრამატიულ საზოგადოებისაგან მოგვივიდა წერილი ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეში მონაწილეობის მიღების შესახებ. დიდის ვაი-ვაგლახით შევიკრიბენით „maison du peurle“-ში ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად და, როგორც იყო, გადავწყვიტეთ მიგვეღო მონაწილეობა, რაც გამოვხატეთ ადრესში და ტელეგრამაში.

ამას ის კარგი შედეგი მოჰყვა, რომ ქართველობა გონს მოვიდა, დაარსა ორგანიზაცია და ურთიერთ დამხმარებელი კასსა. ორგანიზაციას, გარდა ღარიბ ამხანაგების მატერიალურ დახმარებისა, აზრადა აქვს სამშობლო მხარის შესწავლა რეფერატების და სხვ. საშუალებით. რეფერატებს წინდაწინ მომზადებული ამხანაგები წაიკითხავენ.

ორგანიზაციის დაარსების შემდეგ არ გასულა დიდი დრო და გავიგეთ, რომ ჯგუფს ქართველებისას დაუარსებია ახალი წრე, სპეციალური წრე ქართულ ენის შესასწავლად, სადაც ყოველივე წევრი ამ წრისა კითხულობს რომელსამე ქართველ მწერლის ნაწარმოებს, არჩევს და შემდეგ მოხსენებას ადგენს საერთო კრებისთვის. წრემ მეცადინეობა ი. ჭავჭავაძიდან დაიწყო და, დაათავებს რა ახალ მწერლებს, შეუდგება ძველი მწერლობის შესწავლას.

ორიოდე სიტყვა ქართულ საღამოს შესახებაც. ქართული საღამო 22 იანვარს გავმართეთ. პროგრამმა იყო—კონცერტი ცოცხალი სურათები „დიმიტრი თავდადებულიდან“ და ცეკვა-თამაში. საღამომ მშვენივრად ჩაიარა. თუმცა ჩვენი საღამოს წინ ბევრი საღამო გაიმართა, მაგრამ ხალხი მაინც ბლომად დაგვესწრო. ბუფეტში გაუყიდავი არაფერი დარჩენილა, ნაჩუქარმა ლოტარეამ 250 ფრანკზე მეტი მოგვცა, ბილეთებიც კარგად გაიყიდა. საზოგადოდ, კარგი შემოსავალი იყო, მაგრამ ხარჯიც დიდი იყო.

**ლ. მელაძე.**

---

არის მივარდნილი. გაუბედნია საწყლის გულსა და უნატრია: ერთხელ ერთი სტამბა მაინც, რალა ჩვენა ვართ ასე?! დიდხანს უტარებიათ უჩინოდ ეს მწარე ტკივილი და ეხლა ჩემთან ამოიძახეს. მერე რომ იცოდე, რა მოწიწებაა მათვის სტამბა და, მაშასადამე, რა დიდი ბედნიერებაა, რა დიდი მომასწავებელია ქონება ამ კულტურულ იარაღისა. დღეს-კი აღმოჩნდა, რომ ქართული სტამბაც ყოფილა, ჩვენი საკუთარი, ზედ ის ჩვენი ასოებიც ბეჭდურათ; გულმა სიამე იგრძნო, თავმოყვარეობა დამშვიდდა და თავში აზრმა გაიელვა, ჰო, მაშ კარგი! წიგნს ხელიდან ხელში აძლევდნენ ერთმანეთს და აჩვენებდნენ, — აი, ჩვენი ბეჭდური წიგნიო; რა სწერია შიგ, როგორ იკითხება, ასე ამ მხრივ, თუ ასე, ჰო, ფრანგულივით და სხვა.

— გადაბრუნებულა ჩვენი ენა,— მითხრა გასინჯვისას დამწუხარებით ჩემმა მოსაუბრემ.

— ხომ ყველაფერს ვაგონებთ ერთმანეთსა-მეთქი,— დავეკითხე მე.

— კი, როგორ არა, მაგრამ გაზეტაში რომ სწერენ, იმას კაცი ვერ მიხვდება, ვერ გავიგებთ.

— როგორა გგონია, ჩვენ გადავაბრუნეთ ქართული ენა, იქაურებმა, თუ თქვენ, აქაურებმა?—ვკითხე მე.

დაფიქრდა იუნუს ბაჰრი:

— იქაურებმა, ჩვენ უფრო წმინდათ ვლაპარაკობთ: გაზეტაში რომ სწერია, ბევრი ასეთი სიტყვა ურევია, არა ქართული,—მითხრა დაბალი ხმით და ჩემი გულიც სრულიად დაეთანხმა ამ განაჩენს იმ ქართულ ენაზე, რომელიც რუსულის ნაფიქრებით მართლა ისე გაატიალეს და დაამძიმეს ლოდივითა, რომ ზოგჯერ თითონ მე დამკარგვია სასოება. თანაც ზედ მუგუზლის დასართველად თავი მოაქვთ, ვითომ ახალ სამწერლო ენას ჰქმნიან ქართულს. სიფრთხილე და მუშაობა, თორემ იუნუს ბაჰრის გულიდან ამონაკვნესი ჩივილი ნამდვილ მხილებად დარჩება ჩვენზე. *)

სულ ბოლოს-და ვკითხე ჩემს მესაუბრეებს, სადაურები ხართ-მეთქი. როგორაო, შემომეკითხნენ და არ იცოდნენ რა ეპასუხნათ. სიძნელე იმაში იყო, რომ ამათი სადაურობა ორნაირია და ვერ გაიგეს, რომელს ვკითხულობდი: სად ასახლიან, თუ საიდან არიან წამოსულნი. ამიტომ კითხვა ასე დავუწვრილე: თქვენი დედმამა სადა სცხოვრობს, სახლი სადა გაქვთ მეთქი. „ჩემი მამა-დედა სამსონში ცხოვრობს და სახლი იქა გვაქვს, მაგრამ ჩვენ აჭარლები ვართო“, მომიგო იუნოს ბაჰრმა, რომელიც სამსონშია დაბადებული და აჭარა თვალითაც არ უნახავს, გვარი კი აღარ ახსოვდა. დანარჩენმა ორმა ჩურუქსუელი მითხრა და არც ერთი არ არის ჩურუქსუში დაბადებული. სიტყვაზე ერთი ამნაირი მაგალითი კიდევ: აჰმედ ბეი ფ—სთან გავიცანი ერთი ახალგაზდა ქართველი; გვარად ლორთქიფანიძე. სადაურობა რომ ვკითხე, ჩურუქსუელი მითხრა, დაბადების ადგილზე—ტრაპიზონი და ასე ყველანი. ამნაირად, წინად რომ ეჰვითა გწერდი, აქაური ქართველობა თავის სადაურობას ძველ სამშობლოთი ნიშნავს, ეხლა ამას დავა აღარ უნდა.

ლაპარაკი გავათავეთ და ფერიქოვში წავიყვანე სამივე ბიბლიოთეკის საჩვენებლად. გზა შორი იყო და სიარულში მიამბობდნენ საოჯახო ადათებზე. როგორცა ჩანს, ერთმანეთის მიმართვაში კიდევ შენახულა ქართული ზნე-ჩვეულებანი და სცდილობენ კიდეც თურქებისაში არ აურიონ.

ბიბლიოთეკაში მოწიწებით შემოვიდნენ, როგორც გონების საუნჯეთა წმინდა სალაროში. მაშინვე წიგნების შკაფს შეჰხედეს: ეს სულ ქართულია. ამაზე მეტი არის? საიდან არის მოტანილი? და სხვა ამნაირებს მკითხავდნენ. გადმოვიღე საჩვენები წიგნები. ძლიერ მოეწონათ დიდი სურათებიანი „ვეფხის ტყაოსანი“ და ის იმოდენა წიგნი თავიდან ბოლომდე სულ გადასინჯეს, ისე გაიტაცეს პოემის გმირთა სურათებმა. გაზეთებში რომ ზოგიერთი ქართველი მუსულმანი ნახეს დახატული, აღარ იცოდნენ, როგორ გამოეთქვათ თავიანთი სიამოვნება. სახელს ამბობდნენ ზოგისას და კითხულობდნენ, ეს აქ ვინ დახატა, როგორ, სულ იქ არის დაბეჭდილი, და უკვირდათ და უხაროდათ, რომ ჩვენ საბეჭდავიცა გვქონია, სახატავიცა და ამის მცოდნე და გამკეთები ქართველებიც გვყოლიაო.

მეორე პარასკევს (პარასკევი უქმე დღეა მუსულმანებში) მესტუმრა იუნუს ბაჰრი თავის „დედა-ენითა“ და თან სამი ამხანაგი მოიყვანა. იმათში ერთი უკვე ნაცნობი იყო და ორი ახალი. ამ ორ ახალში ერთმა სულ აღარ იცოდა ქართული. პატარა დაობლებულა; გასაზრდელად თურქს ვისმე აუყვანია და ქართული ამიტომ დავიწყებია. მაგრამ ნეტავი ერთი გაჩვენა საიდანმე, რომ შენი თვალით გენახა და გეგრძნო, თუ რა არის გადაგვარება: სხვები რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლით ვნუგეშობდით, ახალი გრძნობები გვებადებოდა, ახალი სურათები გვეშლებოდა და გულიც ახლად ყვაოდა, იგი იჯდა თავ-ჩაღუნული და ქვეშიდან გამოიცქირებოდა ნაღვლიანის გაუცინარის სახით. მისი დაფიქრებული, მწუხარებით სავსე თვალები გაჩანაგებას და გავერანებას ჰეტყველებდნენ, სხვა რამ მადლის შუქი აღარ ენთო მათში. ასე ძნელია თურმე ობლობა. მარტო უდედ-მამობა ხომ არ არის ობლობა, ძნელია უთვისტომობა და უფრო მწარე ყოფილა სხვისა თვისტომობაზე ძალად დამყნობა.

მეორე იმ ახლებში იყო ომერ ეშრეფ, აჭარელი, მოსახლობით ბრუსელი. ბრუსსა და იზმითი ახლო-ახლო არიან, მდებარეობენ მარმარილოს ზღვის პირზე და ორგანვე დიდძალი ქართველობა ყოფილა. ომერ ეშრეფი, თუმცა სიძნელით ლაპარაკობს ქართულს, რადგან სულ სწავლაშია, მაგრამ სმენით ყველაფერი ესმის და ძალიან დიდი მოწადინეც აღმოჩნდა ქართულის შესწავლისა. მთხოვა კიდეც „დედა-ენა“, მაგრამ მე აღარა მქონდა და ისეთ ნაირად დაღონდა, რომ გულმა ვალად დამადვა, იმ დღესვე მეშოვნა წიგნი, სადაც იქნებოდა და არ იქნებოდა; და როცა მართლა მიიღო, ისე დამშვიდებით დაარხეინდა, გეგონებოდა, მთელი ქვეყნის საჩრო-საბადებელი იშოვნაო. აი, სწორედ ეს შემთხვევა და სხვა ამ გვარი მაგალითები და აგრეთვე ამ ვეაების დაპირება სოფლად წიგნების გავრცელებისა იყო მიზეზი, რომ „დედა-ენებზე“ გწერდი. ვიდრე ამ დღეს მეწვეოდნენ, იუნუს ბაჰირსა და ომერ ეშრეფს ერთად უკვე გადაეთვალიერებინათ „დედა-ენა“ და მისი საოცარ სიადვილის გამო მიმხვდარიყვნენ კიდეც. გადავუშალე წიგნი და ვკითხე, აბა აქ რა სწერია მეთქი. საათი, თხა, თოხი, თევზი, კურდღელი, ქათამი. „ბიჭო, შენ გცოდნია კიდეც კითხვა მეთქი. რომ ხატია იქიდან ვიცი, ქვეშაც ხომ ის ეწერებოდაო“. ვერ ამოეცნოთ სამიოდე ასო, მე გამოთქმით ვაჩვენე მათი მნიშვნელობა და იმათ დასახსომებლად თათრულად მიაწერეს ქართული სიტყვები ამ ასოებით დაწყობილი: ჭადი, ჯამე, ჟოლი:

წიგნების შინჯვაში ომერ ეშრეფმა მინახა პატარა ფრანგულ-ქართული გრამატიკა მოკლე ლექსიკონით, ერთ აქაურ ქართველ კათოლიკესაგან შედგენილი და დაბეჭდილი; გაუხარდა, ესეებიც გვქონიაო და აღარ დამიბრუნა, ქართულში დამეხმარებაო. იქვე დაიწყეს კითხვა და ქართულ სიტყვების გამოცნობა. დავეკითხე რთველზე. ერთმა თქვა: რთველია ზაფხული რომ დეილევა, ზამთრის მომსწრეს, მეორემ—ხილს რო კრეფენო და მოძრაობითა და წარმოთქმით ისე დახატა, რომ თითონ მე წარმომედგინა ჩვენი მხიარული რთველი. ომერ ეშრეფმა რომ ამოიკითხა ფრანგული სიტყვა და მისი ქართული მნიშვნელობა „ოქრო“ იუნუს ბაჰირს წასძლია რაღაცამ და თავი ველარ შეიკავა: „ჰო, გოგოზე რომ იტყვიან, აი ოქროსავით დახატულიო“ და გაწითლდა, თავი ჩაღუნა. აქამდე ზეპირად გაგონილი სიტყვამან ეხლა დაბეჭდილი მოიგონა და ეს ხომ ნატვრა იყო მისი. ზედაც მოაგონდა ხალხში ხმარებული შედარება და უფრო ცხოვლად აღებეჭდა იგი მას. იმან ის კი არ იცოდა, რომ მაზე ნაკლებ არც მე ვისიამოვნე, რადგან იმის პირიდან მოვისმინე ნამდვილი ქართული შედარება, გაგონილი ამათ ძველ ადგილებიდან ხუთას ვერსზე დაშორებულ კუთხე'ში. სხვა დროსა და სხვა ადგილას დასაფარავი წვრილმანი აქ მოვიყვანე იმის აღსანიშნავად, რომ თუმცა „ენა გადაბრუნებულა“, მაგრამ ფსიხიკა, რომელზედაც არის დამოკიდებული ენის ფორმა და მიმოხვრა, ჯერ ისევ მართელობს.

ყველაზე დიდი ნიშანი ერის გამოღვიძებისა მაშინ არის, როცა კაცი დაეკითხება თავის თავს, რანი ვიყავით უწინ? ამ კვალზე ვნახე ჩემი ახალგაზდა მეგობრები. მართალია, ბათუმ-ყარსის აღება და გადმოსახლება ყველამ იცის, მაგრამ ეს ხომ რუსობაში მოხდა. არა, სულ უწინ რა ვიყავით, უწინ? წინათ ქართველებს ხვანთქარი ჰყოლიათო. ჰო, ხვანთქარი გვყოლია და ერთადაც ვყოფილვართ მეთქი, და ვუამბე თამარ დედოფლის დრო. მის ხსენებაზე ომერ ეშარეფმა მითხრა, მე ეგ თათრულიდან ვიციო და მიამბო სიტყვა-სიტყვით შემდეგი: „ერთი ქალი ჰყოლიათ გურჯისტანთ ხვანთქრად, თომრის; ირანში ქეიხოსრევ; ერთმანეთსა ყავლა (დავა) უქნეს; მასუკან ბევრი მუჰარები (ომები) ჰქნეს. თომრის ქეიხოსრევს მიერია, მისი ასკერი (ლაშქარი) დაფანტა. მასუკან ქეიხოსროვს დეიჭირეს, თომარისთან მიიყვანეს. თავი მოაჭრევინა, სისხლით სავსე გუდაში ჩასდო თავი, მერმე თქვა, რომე ამდონი წელიწადია, სისხლის სმით ვერ გაძეღი, ამას იქით ამ გუდაში გაძეღი. მე თათრულ დაბეჭდილ ქითაბში (წიგნში) წევიკითხეო“.

მას იქეთ ეს ორნი, იუნუს ბაჰრი და ომერ ეშრეფი კვირა გამოშვებით დაირებოდნენ ჩემთან. ეგზამენები ჰქონდათ და მოუცლელად იყვნენ,—აქაურ თათრის საშუალო სკოლაში სწავლობენ,—ამიტომ ვერ ივლიდნენ ხშირად, რომ მაშინვე ესწავლათ. გაათავეს ეგზამენები, შემდეგ კლასში გადავიდნენ, დამიტოვეს ადრესები, ამბავი დამიგდეს, წიგნები რომ მოგივიდეთ, სოფელში გამოგვიგზავნეთ დასარიგებლადაო და წავიდნენ თავიანთ სახლებში.

შენი მეგობარი **ფარსმან მაძღვარი.**

(შემდეგი იქნება)

*) ამ ბოლო დროს გაზეთში შემოიღეს ერთნაირი გამოთქმა, რომლის ნიმუშია, მაგალითად, ფრაზა: მე ვიყიდე ორი კოლოფი სპიჩკისა. ეს გახლავთ საცოდავი თარგმანი რუსულ სიტყვებისა. უნდა ვთქვათ—ორი კოლოფი სპიჩკა, ხუთი ურემი მიწა, ათი საპალნე ღვინო. გამოთქმა: „ორი კოლოფი სპიჩკისა“ იხმარება მაშინ, როცა კოლოფში არა ჰყრიარა. ქართველ გლეხს რომ უთხრათ: „მე ვიყიდე სამი ტომარა პურისა“, იგი უთუოდ ცარიელ ტომრებს იგულისხმებს და არა პურიანსა. ან კიდევ: რაც არ უნდა უთხრა, არ გაიგონებს,—წმინდა რუსული თქმაა. ქართულად იტყვიან: რაც უნდა უთხრა, არ გაიგონებს. ხოლო რაც არ უნდა უთხრა, ის არც უნდა უთხრა.

# უცხოეთი

**მოლაპარიკება საყოველთაო გაფიცვაზე პრუსიაში.**

„რუს. სლოვ.“-ს კორესპონდენტი უწყება ბერლინიდან 6 თებერვლის თარიღით: „აქ სერიოზული მოლაპარაკება გამართეს იმის თაობაზე, რომ პროფესიონალურმა კავშირებმა საყოველთაო გაფიცვა გამართონ მთავრობის საარჩევნო პროექტის წინააღმდეგო“.

**გერმანელ სოციალ-დემოკრატების შეკითხვა.**

გერმანიის კანცლერს ბეტმან-გოლვეგს პრუსიის ლანდტაგში კადნიერად მოეხსენებინა გერმანიის საყოველთაო საარჩევნო წესი და თან მუქარით ეთქვა, შეიძლება ეს წესი შეცვალოსო. ამის თაობაზე გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა გერმანიის რეიხსტაგში შეიტანეს შეკითხვა, რომელიც რეიხსტაგმა 6 თებერვალს განიხილა. იმ დღეს რეიხსტაგის დარბაზი და ტრიბუნები ძალზე გაიჭედა დეპუტატებით და გარეშე ხალხით. გერმანიის საკავშირო საბჭოც, იმპერიის კანცლერის მეთაურობით, სრულად დაესწრო ამ სხდომას.

სოციალ-დემოკრატების შეკითხვა დაასაბუთა სოც.-დემოკ. დეპუტატმა ფრანკმა, ორატორი მეტად მკაცრად ლაპარაკობდა. მან სთქვა:

„ჩვენ მოვითხოვთ კანცლერისგან პასუხს იმ სიტყვისას, რომელიც მან წარმოსთქვა ლანდტაგში. მისი მოვალეობაა—დაიცვას და დაიფაროს კონსტიტუცია. რეიხსტაგი კონსტიტუციონურ მმართველობის ორგანოა. რა დაემართება იმ კანცლერს, რომელიც გაჰბედავს და რეიხსტაგში იტყვის, რომ იმპერატორის ზოგიერთი სიტყვა რყვნის და აბრიყვებს ხალხსაო? განა ესეთი კანცლერი გინდ ერთ წამს დარჩება-ლა თავის თანამდებობაზე?

ორატორს ლაპარაკს აწყვეტინებენ. იწყება ხმაურობა, ისმის ყვირილი. თავმჯდომარე შენიშვნას აძლევს ორატორს, ამ საშინელ ღრიანცელში ფრანკი ყვირის:

— „თავმჯდომარე ტყუილ-უბრალოდ ირჯება. შენიშვნა საჭირო არაა. მე მხოლოდ იმისი თქმა მინდოდა, რომ იმპერატორის ტიტული და რეიხსტაგი ერთ დღეს გაჩნდნენ. რეიხსტაგი ისეთსავე პატივისცემას მოითხოვს თავისთვის, როგორიც აქვს გვირგვინოსან ხელმწიფეს. და არავისგან არ მოითმენს შეურაცხყოფას. იმპერატორის სახელისა ტყუილად გეშინიანთ. რეიხსტაგს თანასწორი უფლება აქვს მასთან.

ამის შემდეგ ორატორმა მკაცრი კრიტიკა გაუკეთა პრუსიის საარჩევნო რეფორმის პროექტს და გაბედულად განაცხადა: სოციალ-დემოკრატებს მსხვერპლის არ ეშინიანთ; ისინი დაუღალავად განაგრძობენ დემონსტრაციებს, სანამ არ გაიმარჯვებენ.

კანცლერმა ბეტმან-გოლვეგმა უპასუხა ფრანკს, რომ გერმანიის კავშირის მთავრობას ფიქრადაც არ მოსვლია საიმპერიო საარჩევნო რეფორმის შეცვლა და რომ მისი განზრახვა სწორედ ვერ გაიგესო.

ცენტრისა და თავისუფალ მოაზრეთა პარტიის ორატორებმა მეტის-მეტად დიდი უკმაყოფილება გამოსთქვეს პრუსიის საარჩევნო რეფორმით, მათ აღნიშნეს მთავრობის კანონპროექტის რეაქციონური ხასიათი და უსაყვედურეს კანცლერს, რომ მისმა ორპოფმა ლაპარაკმა აალელვა სამხრეთი პრუსიაო.

მარტო მემარჯვენე ორატორები მიექომაგნენ კანცლერს.

საზოგადოდ, ორატორები მეტად გულმხურვალედ, ცხარედ ლაპარაკობდნენ, მეტადრე სოციალ-დემოკრატები. ესენი პირდაპირ იმუქრებოდნენ, თუ მთავრობა იმპერიის კონსტიტუციის დარღვევას მოინდომებს, მაშინვე რევოლიუციას მოვახდენთო.

თავისუფალმა მოაზრემ ვიმერმა მკაცრად გაკიცხა კანცლერი. ორატორმა სთქვა: კანცლერი არაფრად აგდებს დემოკრატიულ სამხრეთ პრუსიასო.

ბეტმან-გოლვეგმა აღელვებულმა განაცხადა: არავის მივცემ ნებას, რომ დაუმსახურებელი ბრალდება დამდოსო. („რ. ს.“)

**ინგლისის პარლამენტის გახსნა.**

როგორც ვიცით, ინგლისის პარლამენტი 2 თებერვალს გაიხსნა. დეპუტატთა პალატამ პირველ დღეს აირჩია „სპიკერი“ (თავმჯდომარე). ამ თანამდებობაზე, მუშა-დეპუტატის ბერტის წინადადებით, ერთხმად აირჩიეს წინანდელი სპიკერი უნიონისტი ლოუტერი. სპიკერმა სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა, ხოლო პირველმა მინისტრმა ასკვიტმა და უნიონისტების მეთაურმა ბალფურმა გულწრფელად მიულოცეს მას არჩევა. ლოუტერს მთელი პალატა, პარტიის განურჩევლად დიდ პატივსა სცემს და დიდის ნდობით უცქერის. ასეთი პატივისცემა და ნდობა მან დაიმსახურა თავის შესანიშნავის მიუდგომლობით: წინანდელ პალატაშიაც, რომელშიაც ლიბერალებს დიდი უმეტესობა ჰყავდათ, მაინც ისევ ეს უნიონისტი ლოუტერი იყო არჩეული სპიკერად.

პალატის პირველ სხდომას ყველა დეპუტატი დაესწრო. ყველაზე მეტ ყურადღებას იზიდავდა ირლანდიელების მეთაური ჯონ რედმონდი. იგი ირლანდიელ დეპუტატებით დილონით და ოკონორით მივიდა და ლაპარაკი დაუწყო ფინანსთა მინისტრს ლოიდ-ჯორჯს. მათთა საუბარმა მეტად დიდ ხანს გასტანა და ყველას ყურადღება მიიზიდა.

სპიკერის არჩევის შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ ფიცის მიღებას. 3 თებერვალს პალატაში მივიდა ავადმყოფი ჯოზეფ ჩემბერლენი, დაყრდნობილი თავის შვილზე დეპუტატ სტინ ჩემბერლენზე და დეპუტატ ლორდ მორნეტზე, იგი მოუახლოვდა პალატის მდივანს და ფიცის ფურცელი წაიკითხა, ხელი-კი ველარ მოაწერა თითონ: მის მაგივრად მისმა შვილმა მოაწერა. ჩემბერლენმა ორიოდე სიტყვა უთხრა სპიკერს, რომელმაც პალატაში დაბრუნება მიულოცა.

მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ თავის მეთაურად აირჩია დეპუტატი ბარნესი ნაცვლად ჰენდერსონისა, რომელმაც უარი სთქვა მეთაურობაზე.

**ლორდ-გლადსტონი.**

როგორც ვიცით, ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრი ჰერბერტ გლადსტონი დაინიშნა სამხრეთ-აფრიკის შტატების გენერალ-გუბერნატორად. მას უბოძეს ლორდის ხარისხი. ახალი ლორდი ამ ჟამად 56 წლისაა. იგი მეოთხე, ყველაზე უმცროსი ვაჟიშვილია დიდებულ ვილიამ გლადსტონისა. პირველად მინისტრობა მან მიიღო ლორდ როზბერის პირველ მინისტრობის დროს. ჰერბერტ გლადსტონი ძლიერ უყვარს ინგლისის ხალხს. ლიბერალური კრება სწერს, რომ გლადსტონი თავის ახალ პასუხსაგებ თანამდებობაზე გამოაჩენს ინგლისურ ლიბერალიზმის პრინციპების ნამდვილ ძალას და დაამტკიცებს, რომ ინგლისის სახელმწიფო იდეია ხელს უწყობს ნაირ-ნაირ ერთა ინტერესების მორიგებასო.

# ბალკანეთის საქმეები

**ბოლგარიის მოღვაწის აზრი რუსეთ-ავსტრიის შეთანხმებაზე.**

ერთმა გავლენიანმა ბოლგარმა დეპუტატმა შემდეგი საყურადღებო აზრი განუცხადა ფრანგულ გაზ. „პტი რეპუბლიკ“-ის თანამშრომელს:

„რუსეთ-ავსტრიის შეთანხმება მოასწავებს ჩვენის ისტორიულ მისწრაფების დამხობას. ავსტრია გზას იკაფავს სალონიკისკენ. რუსეთს ისეთივე მოულოდნელი საჩუქრები მოელის, როგორიც იყო მისთვის ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსია. თუ ჩვენი მეფე ფერდინანდი თავის დინასტიის ინტერესებს მაღლა დააყენებს ბოლგარიის ინტერესებზე, მაშინ ჩვენი ხალხი გაზაფხულზე უთუოდ ასეთს ულტიმატუმს წაუყენებს წინ: „ან წინ წადი ან გზიდან გაგვეცალე!“

**მეფე ფერდინანდის წასვლა რუსეთში.**

ბოლგარიის მეფეს ფერდინანდს ვენაში ყოფნის დროს უთქვამს სერბიულ გაზ. „ნოვო ვრემია“-ს კორესპონდენტისთვის:

რუსეთში უმთავრესად მაკედონიის საქმეზე მივდივარ. მინდა პეტერბურგში მოლაპარაკება გავმართო მაკედონიის მდგომარეობაზე, აგები ოსმალეთის მთავრობას როგორმე მოვაშლევინოთ მაკედონელების დევნა. ეს საქმე უთუოდ უნდა გადასწყდეს, რადგან იგი ძლიერ აღელვებს ბოლგარიის ერსას და საზოგადოებას.

რუსეთ-ავსტრიის შეთანხმებაზე ფერდინანდს უთქვამს: რასაკვირველია, პეტერბურგში მაგაზედაც შექნება ლაპარაკი, თუმცა ჩემის აზრით, ეს საქმე პირდაპირ როდი შეეხება ბოლგარიას.

**ოსმალეთი და რუსეთ-ავსტრიის დაახლოვება.**

ავსტრიის დიპლომატთა წრეები ირწმუნებიან, რომ ოსმალეთი დიდის აჭვით უმზერის რუსეთ-ავსტრიის დაახლოვებასაო. ოსმალეთის მთავრობამ უბძანა ყველა თავის ელჩებს ევროპაში დიდის ბეჯითობით ადევნონ თვალყური, რომ დიპლომატიურ მოლაპარაკებას, რომელიც რუსეთ-ავსტრიის დაახლოვების თაობაზე გამართულიყო. ოსმალეთს ყველაზე მეტად ავსტრიისა ეშინიან.

**საბერძნეთის მეფის განცხადება.**

საბერძნეთის მეფემ გიორგიმ შეატყობინა უცხოეთის ხელმწიფეებს: თუ სამხედრო კავშირს ვერ ავლაგმავ, იძულებული ვიქნები ტახტიდან გადავდგე, ჩემს ადგილით მივბაძავ სამეფო სახლის ყველა წევრებით.

ოსმალეთის ელჩმა ათინიდან საიდუმლოდ მოსწერა თავის მთავრობას, საბერძნეთის მეფე მეტის მეტად დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილიო.

# ავლაბრის აფთიაქი

(წერ. რედ. მიმართ)

ვინც გაზეთებს თვალ-ყურს ადევნებს, შეამჩნევდა, რომ ამ ბოლო დროს სხვა-და-სხვა გაზეთში ბევრი რამ იწერება ავლაბრის აფთიაქის შესახებ. თუ ამ ცნობების ავტორებს დავუჯერებთ, აფთიაქში ისეთი კარგ-ხარისხოვანი წამლები არა მზადდება, როგორიც საჭიროა. ეს ამბავი, ერთი პირის ჩვენებით, საგუბერნიო საქმეთა განყოფილებასაც გაუგია, რევიზიაც მოუხდენია ხსენებულ აფთიაქისა, რომლის მოიჯარადრედაც გახლავთ ბ-ნი ზოლოტნიცკი, და შესაფერი ზომებიც მიუღია. გაზეთების ფურცლებზე იყო სხვა-და-სხვა პირის შეკითხვა მოიჯარადრისადმი, მართალია თუ არა ყველა ის, რაც გაზეთებში სწერიათ? რატომ ხმას არ იღებთ და არ ამცნობთ მცხოვრებთ, რომ ეს ამბები სიცრუეაო? მაგრამ ამდენი ხანი გადის და არც მოიჯარადრე და არც აფთიაქის პატრონი ბ-ნი ჯორჯიკაშვილი ხმას არ იღებენ.

მკითხველებს ისიც ეხსომებათ, რომ ამ მოკლე ხანში ქალაქის თვით-მმართველობაში დაუდგენიათ, ავლაბარში გახსნან ქალაქის აფთიაქის განყოფილება. მაგრამ დადგენა რას იზამს, თუ კი საქმეს წინსვლას არ მისცემენ. როგორც ვიცით, ქალაქის „მამები“ ნაკლებად ზრუნავენ განაპირა უბნების მცხოვრებთა კეთილ-დღეობაზე. ავლაბარში, სადაც 30 ათას მცხოვრებზე მეტია, ერთად-ერთი აფთიაქია და ქალაქის თვით-მმართველობა-კი არაფერს ფიქრობს. თვით-მმართველობამ უნდა იზრუნოს, მიიღოს მხედველობაში ზემოხსენებული ამბავი და გააჩინოს ახალი აფთიაქი, სადაც გულ-დაწყნარებით შეგვეძლება ვიყიდოთ წამლები. ხშირად მსმენია სხვა-და-სხვა ექიმებისაგან, რომ ამ რეცეპტების წამლები ოტენის ან გეინის და ან სხვა აფთიაქიდან გამოიტანეთო. ეტყობათ, თითონ ექიმებიც არ ენდობიან სავსებით ავლაბრის აფთიაქს.

ერთხელ კიდევ მოვაგონებ ქალაქის სვე-ბედის გამგებელთ, მიაქციონ ყურადღება ავლაბარს და გაგვიხსნან ქალაქის აფთიაქის განყოფილება.

მე ვარ.

# რუსეთი

**ეპარქიაში სამხედრო წესების გამოცხადება.** „რეჩს“ ტაშკენტიდან შემოდევს სწერენ: ამ დღეებში ტაშკენტის ეპისკოპოსმა თავის ეპარქიაში სამხედრო წესები გამოაცხადა; ეს ამბავი გამოიწვია სანთლის ქარხანამ. ეპისკოპოსმა დიმიტრიმ განიზრახა სანთლის ქარხნის გაღება, მაგრამ რადგან ეპისკოპოსს ამისთვის საჭირო თანხა არ მოეპოვებოდა, ამიტომ მღვდლებს ბრძანება დაუგზავნა, „დაუყოვნებლივ“ ამდენი და ამდენი უნდა შემოიტანოთ სანთლის ქარხნის მოსაწყობადაო. ზოგიერთ სამრევლოებში მნათეები არ დაემორჩილნენ ეპისკოპოსის „სასტიკ“ ბრძანებას და ეპისკოპოსს უარი შეუთვალეს, ჩვენდამი რწმუნებულ ეკლესიებს თავისუფალი თანხები არ მოეპოვებაო. მნათეები, რა თქმა უნდა, კანონიერად მოიქცნენ. ეპისკოპოსმა დიმიტრიმ კი ამ კანონიერ მოქმედებას სხვანაირი სარჩული დაუდო და „ტურქესტანის ეპარქიის უწყებებში“ სასტიკი წერილი დასტამბა. „არ ვიცით,—სწერს ეპისკოპოსი,—რას მივაწერო მნათეების საქციელი, მათ თავხედობას, თუ გაუგებრობას! მნათეები არ ემორჩილებიან თავიანთ ეპისკოპოსს! ვინ მოახსენა მნათეებს, რომ მე მათ თანხმობას ვკითხავდი?“ ეპისკოპოსმა უმალვე „ნამდვილ“ ზომებს მიმართა. რადგანაც ეპისკოპოსის აზრით, მნათეებმა ბოროტ-გზა აირჩიეს, არ შეასრულეს ეპისკოპოსის ბრძანება და ფული არ გაუგზავნეს, „დაარღვიეს დადებული ფიცი, წინააღმდეგნენ კანონიერ უფროსს“ და ასე გასინჯეთ „ეკლესიის მფარველის, ღვთით მირონ-ცხებულსაც კი ურჩობა გაუწიეს“, ამიტომ ეპისკოპოსმა ბრძანება გასცა „დაუყონებლივ“ დაეთხოვათ „ურჩი“ მნათეები. ამრიგად ეპისკოპოსმა დიმიტრიმ მნათეებს, რომლებმაც სანთლის ქარხნის მოსაწყობად ფული ვერ გაიღეს, ხელმწიფე-იმპერატორის შეურაცხყოფა დასწამა. ეპისკოპოსი დიმიტრი მარტო ამით არ დაკმაყოფილდა. მის დასახასიათებლად მოვიყვანთ „ტურქესტანის ეპარქიალურ უწყებაში“ დაბეჭდილ წერილის ზოგიერთ ადგილებს: „რადგანაც ტურქესტანის ეპარქია მთელ ტურქესტანის მხარეს შეიცავს და ეს მხარე კი სამხედრო პირების განკარგულებაშია, ამიტომ ჩემ მოვალეობად ვსთვლი შევატყობინო ტურქესტანის მართველებს მნათეების საქციელი, რომლებმაც არ შეასრულეს ხელმწიფე-იმპერატორის სახელით გამოცემული ბრძანება. გასაკვირველია სწორედ, რატომ არ დაფიქრდნენ ეს ვაჟბატონები, რომ ისინი მსახურებენ და სცხოვრობენ სამხედრო წესების დროს, რადავიწყდებათ მათ, რომ თურქესტანის მხარეში სამხედრო წესებია გამოცხადებული და ამიტომ მთავრობა ვერ მოითმენს ვისმეს ურჩობას და უკანონო საქციელს ტურქესტანის მხარეში უფროსის ბრძანება უსათუოდ, დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს. რომ ამისთანა შემთხვევები აღარ განმეორდეს, ერთხელ და სამუდამოდ ვაცხადებ, რომ არ მოვითმენ დისციპლინის სულ მცირეოდენ დარღვევასაც კი და სასტიკად დავსჯი ურჩებს წოდებისა და განათლების განურჩევლად. რაკი სამსახურში შეხვედი, მოვალე ხარ აასრულო უფროსის ყოველი განკარგულება, მოვალე ხარ არ დაარღვიო მიღებული ფიცი, მათ არ უნდა დაავიწყდეთ წმ. მოციქულის სიტყვები, რომ მთავრობას ტყუილად არ უჭირავს ხელში ხმალიო“ ეპისკოპოსი დიმიტრი მარტო მნათეების დასჯით არა კმაყოფილდება. და „მის ყურამდის მიუხწევია, რომ მნათეებს მღვდლებიც თანაუგრძნობდნენ; ამიტომ ეპისკოპოსი დიმიტრი ბლაღოჩინებს ავალებს, გამოიძიონ იმ მღვდლების საქმე, რომლების ეკლესიების მნათეებმაც უარი განაცხადეს ფულის შეტანაზედ. „დამნაშავეებს“ შეუბრალებლად უნდა მოექცნენ. ისეთი მღვდლებიც კი უნდა დაისაჯონ, რომელნიც თუმცა მნათეებს არ თანაუგრძნობდნენ, მაგრამ მაინც იმდენი გამჭრიახობა ვერ გამოიჩინეს, რომ მნათეების დაუკითხავად ფული არ აიღეს და ეპისკოპოს ფული არ გაუგზავნეს რაც შეეხება სანთლის ქარხანას ეპისკოპოსმა დიმიტრიმ აქაც გამოიჩინა გამჭრიახობა. „მეო სწერს ეპისკოპოსი, უფლება მაქვს როგორც მინდა ისე მოვახმარო ეპარქიის საეკლესიო ფულები და მნათეების დაუკითხავადაც ავიღებ ამ სანთლის ქარხნის მოსაწყობ ფულსაო. ასე იცავს ეპისკოპოსი დიმიტრი მართმადიდებელ ეკლესიის ავტორიტეტს! ამის შემდეგ კიდევ მოიპოვებიან გულუბრყვილო ხალხი, რომლებიც სწუხან ეკლესიის ავტორიტეტის დაცემაცო!

# წერილი რედ. მიმართ

**(ბ-ნ ლევან ყიფიანის წერილის გამო)**

გაზეთ „ზაკავკაზიე“-ს № 31-ში ბ-ნ ლევან ყიფიანის წერილი იყო მოთავსებული, სადაც ის, სხვათა შორის, ჩემს სახელსაც იხსენიებს. იმ პირობაზე, რომელიც დაიწერა ჩემსა, მირზოევსა და ნაგურსკის შორისო,—სწერს ბ-ნი ყიფიანი,—იმიტომ მოვაწერე ხელი, რომ ბ-ნ მირზოევის პატიოსნება მრწამდაო. მრწამდა იმიტომ, რომ მასთან, მირზოევთან, მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ ყველასაგან პატივცემულ პირებს —ა. არღუთინსკის, ს. ჭრელაშვილს, ნ. ელიავას და ქ. ჯაფარიძესო. ამიტომ საკმარისი იყო მისთვის, ყიფიანისთვის, მირზოევის სიტყვები, რომ ჭრელაშვილი, ჯაფარიძე და ელიავა წმინდად და მაღალ ზნეობრივად სთვლიან იმ პირობას, რომ ნაგურსკისა და მას იმ პირობაზე ხელი მოეწერათ. თუ რაში გამოიხატებოდა მე და ელიავას მირზოევისადმი მეგობრული დამოკიდებულება, ეს საკმარისად დაახასიათა ნ. ელიავამ თავის წერილში, რომელიც „ზაკავკაზიე“-ს № 33-ში იყო მოთავსებული, მაგრამ ამაზე მეტი მეგობრული კავშირიც რომ ყოფილიყო ჩვენ და მირზოევს შორის, ეს მაინც არ გამოდგება ბ. ყიფიანისა და ნაგურსკის თავის გასამართლებელ საბუთად. მე მგონია, რომ ეს ცხადზე უცხადესია და ამაზე არც ღირს ლაპარაკი. რაც შეეხება იმას, რომ ბ-ნმა მირზოევმა ლევან ყიფიანი შეცდომაში შეიყვანა იმ გარემოებით, რომ ვითომ მე და ელიავამ ვაქეთ და ვადიდეთ მათ მიერ დაწერილი პირობა, ამის შესახებ მოვახსენებ ბ-ნ ყიფიანს, რომ არც ეს საბუთი გამოდგება თავის გასამართლებლად. მით უფრო, რომ როგორც თითონ აღიარებს, არც მას და არც ნაგურსკის ამის შესახებ ჩემთან არავითარი ლაპარაკი არა ჰქონიათ. თუ ასე აფასებენ მე და ელიავას აზრს, რატომ ერთხელ არ გვკითხეს: ჩვენ ამა და ამ საქმის დაწყებას ვაპირებთ და თქვენ რა აზრისა ხართ ამის შესახებაო... ჩემის აზრით, უსაფუძვლოა და უმნიშვნელოა ის გარემოებაც, რომ შარშან ზაფხულში ჩემი თანადასწრებით ჭრელაშვილმა ურჩია მას ს. მირზოევისთვის მიემართა დახმარებისთვის. მართალია, მე მახსოვს ეს შემთხვევა. ესე იგი, მახსოვს, რომ შარშან ზაფხულში მე და ჭრელაშვილი ლევან ყიფიანს მუშტაიდთან შევხვდით. მხოლოდ რა ლაპარაკი ჰქონდათ მასა და ჭრელაშვილს, აღარ მახსოვს. ერთხელ კიდევ ვიმეორებ (პირველად გაზეთ „მომავალში“ იყო ჩემი წერილი მოთავსებული), რომ ბ-ნ ბატაილის გამომჟღავნებამდის არც ერთი პირობის შესახებ არაფერი არა ვიცოდი-რა და თავის თავად ცხადია, რომ ამ დროიდან მე და მირზოევს შორის არავითარ პრინციპებზე და ხელშეკრულობაზე არაფერი ლაპარაკი არა ყოფილა. როდესაც ბ-ნ ბატაილის წყალობით ქალაქში ხმა გავრცელდა, ს. მირზოევი უსახელო საზოგადოებისგან ქრთამს იღებსო, მე წაველი ქალაქის სამმართველოში, რათა გამეგო, რაში მდგომარეობდა საქმე. იქ შემხვდა ბ-ნი მირზოევი, რომელმაც მომმართა თხოვნით, მიმეცა მისთვის შესაფერი რჩევა. მეც ავასრულე მისი თხოვნა და მიეცი შემდეგი რჩევა: „თუ გინდა, რომ ჩვენ თვალში და საზოგადოების თვალში წმინდათ დარჩე, უსათუოდ უნდა უჩივლო ბ-ნ ბატაილს ცილის წამებისათვის-მეთქი“.

ამ ლაპარაკის მეორე თუ მესამე დღეს ქალაქის სამმართველოში მოხდა კერძო თათბირი, რომელსაც დაესწრო თვით ბ-ნი ყიფიანიც. ამ თათბირზე გამოირკვა და თვით მირზოევმაც დაამოწმა, რომ ამ დღემდის, ე. ი. ამ კერძო თათბირამდის, არც მე და არც ნ. ელიავამ არც ერთი პირობის შესახებ არა ვიცოდით რა, რომ არც მირზოევს, არც ლ. ყიფიანს და არც ვ. ნაგურსკის ჩვენთან იმ პირობების შესახებ არასოდეს არა ულაპარაკნიათ რა, რომ მირზოევმა მომმართა მე, როგორც იურისტს, მხოლოდ მაშინ, როდესაც იმის მოსყიდვის შესახებ ქალაქში ხმები გავრცელდა... ეს ყველაფერი უნდა იცოდეს ბ-ნმა ყიფიანმა, რომელიც, როგორც წინედ ვთქვი, იმ თათბირს დაესწრო და მიკვირს, რატომ მაშინვე არა სთქვა ის, რაც თავის წერილში აღნიშნა. რაც შეეხება ჩემ აზრს შესახებ იმ პირობებისა და მირზოევის საქციელისა—ეს უკვე გამოვთქვი ზემოაღნიშნულ კერძო თათბირზე, თუ კიდევ რამე ვიცოდი ამ საქმის შესახებ—ეს მოვახსენე იმ კომისიას, რომელიც ჟურნალისტთა საზოგადო კრებაზე იყო არჩეული. დარწმუნებული ვარ, ეს კომისია, სხვათა შორის, სხვა მასალებთან ერთად იმ ჩემ ჩვენებასაც გამოააშკარავებს.

ქ. ჯაფარიძე.

---

ვთხოვ სხვა გაზეთებს, ეს ჩემი წერილი გადაბეჭდონ.

ქ. ჯ.

## კალენდარი

თებერვალი 28 დღე

**13**

ახალი სტილით 26 · მზე ამ. 16 დღისაა.

44 დღე წლის თავიდან. რჩება 321 დღე.

**შაბათი**

**ქართვ.** ღირს. მამ. ჩვ.მარტინიანესი.
**კათოლ.** წმ. რაიმუნდი და ეკატერინესი.
**სომეხ.** წმ. სარქისისა მხედრობათა და შვილისა მარტიროსისა.
**მაჰმად.** შამბე 15 რ. საფარისა 1328 წ. ჰიჯრისა.
**ებრაელ.** შაბათ 16 რ. პირ. ადარისა 5670 წ. ქვეყნ. შექ.


## განცხადებანი

**დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია**

7 მ. 25 კ. ორ კოსტიუმს ვგზავნით ფასდადებით. ჩაწყობა და გაგზავნა ჩემი ხარჯით 4½ არშ. მამაკაცის სრულ კოსტიუმისთვის, ინგლისის შალის ტრიკო ორ არშინიან განისა, ახალი, მკვიდრი, სადა ან ნახატებიანი და 8 არშ. „ნოვეტე“ ქალის კოსტიუმისთვის მოდის-უჭრელდაბიანი ან ზახებიანი.

ვინც ორ წყვილს შემოგვიკვეთავს, იმას უფასოდ ვაძლევთ სარჩულს როგორც კაცის, ისე ქალის კოსტიუმისთვის. სამიმოვ არაფერია: თუ არ მოგეწონებათ, ფულს სრულად უკანვე მიიღებთ. ფასდადებით გაგზავნისთვის მანეთზე 2 კაპ. ზოლდ ციმბირში განსხვავება ზომაში: 2 კოსტიუმში 85 კაპ., 4-ში მან. 25 კაპ. ადრესი: Фирма М. А. Бабушкина. Лодзь. 1-oe отд. д. მიწერ-მოწერა რუსულად. (Метцль и К. N 11208). (3—6.—1)

**ექიმი** ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილისავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—52)

საყმაწვილ.ო სურათებიანი ჟურნალი

**„ნაკადული“**

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათვ. **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის): 1. «ცეცხლმიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები»—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ანბანი კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი, საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურობის ქარვასლაში).

| 2 Руб. въ годъ. | 1 Руб. на $^1/_2$г. | ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1910 г. (ГОДЪ ИЗДАНІЯ III-й). | 25 КОП. отдѣльн. книжка, во всѣхъ кн. маг. съ пересылкой 35 к. |
|---|---|---|---|

НОВЫЙ

# ЖУРНАЛЪ ДЛЯ ВСѢХЪ

Преслѣдуя главнымъ образомъ культурныя задачи, журналъ широко ставитъ отдѣлы: 1) литературный, 2) критическій, 3) художествснный, 4) общественый и 5) научно-популярный.

**ВЪ ЖУРНАЛѢ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ:**

**Отдѣлъ художественной литературы**—Леонидъ Андреевъ, М. Арцыбашевъ, Д. Айзманъ, Николай Архиповъ, И. Бунинъ, А. Блокъ, В. Башкинъ, А. Боане, В. Вересаевъ, А. Вербицкая, С. Гусевъ-Оренбургскій, О. Дымовъ, Борисъ Зайцевъ, А. Купринъ, А. Каменскій, Карменъ, В. Муйжель, Н. Олигеръ, И. Потапенко, А. Рославлевъ, А. Ремизовъ, А. Серафимовичъ, Скиталецъ, С. Сергѣевъ-Ценскій, А. Свирскій, гр. Ал. Н. Толстой, Н. Тимковскій, А. Ѳедоровъ, Танъ, Е. Чириковъ, Г. Чулковъ, Дм. Цензоръ, И. Щегловъ, Т. Щепкина-Куперникъ, С. Юшкевичъ и др.

**Отдѣлъ критическій**—Ю. Айхенвалдъ, Н. Абрамовичъ, Ѳ. Батюшковъ, Л. Галичъ, С. Венгеровъ, А. Измайловъ, проф. Н. Котляревскій, проф. В. Сперанскій, проф. Д. Овсянико-Куликовскій, К. Чуковскій.

**Отдѣлы обществ.—политич. и научно—популярн.**—Б. Агафоновъ, П. Берлинъ, В. Брусянинъ, пр.-доц. П. Головачевъ, А. Дживилеговъ, проф. Н. Карѣевъ, Д. Кузминъ-Караваевъ, Н. Морозовъ, М. Лемке, проф. В. Святловскій, проф. Е. Тарле, проф. М. Туганъ-Барановскій, проф. И. Озеровъ, В. Филатовъ, М. Энгельгардтъ и др.

**Отдѣлъ исскуствъ**—А. Бенуа, И. Гинзбургъ, И Лазаревскій, С. Маковскій, В. Меерхольдъ, И. Репинъ, Н. Рерихъ, Н Эфросъ и др.

**Журалъ выходитъ ежемѣсячно, въ объемѣ до 9-ти обычн. печатн. листовъ (130—140 ст.) съ иллюстраціями въ текстѣ.**

**Годовые подписчики получаютъ безплатную премію Художественно исполненный альбомъ «Галлерея современныхъ писателей».**

Подписная плата на годъ—2 р., $^1/_2$ года—1 р. Заграницу—3 р. Цѣна отдѣльн. книжки въ магаз. 25 к. Пробный №—за пять 7 коп. марокъ.

Подписная плата марками не принимается.

Подписка принимается въ редакціи и во всѣхъ книжныхъ магазинахъ, въ послѣднемъ случаѣ приплачивается 15 коп. въ пользу магазиновъ: Адресъ для переводовъ: Петербургъ, Свѣчной 16 „Нов. Журналу для всѣхъ“. (3—6.—1)


სტ. „სინათლე“ რუს.-ს ქუჩ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე.